რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კვირა, 8 აპრილი 1918 წ. 100

# ერთობა

ფასი 30 კაპ.

გაზეთი ღირს: 1 თვით 6 მ. 50 კ., ცალკე ნომერი ყველგან 30 კაპ. საზღვარ-გარეთ ორჯერ მეტი. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—50 კაპ. სამგლოვიარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 11 საათისა. ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почтов. ящ. 199. Редакція „Эртоба". სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს. რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ, Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 81 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 81

გრძელდება ხელის მოწერა 1918 წლისთვის
ყოველ დღიურ გაზეთ
„ერთობა"-ზე
1 თვით — 6 მან. 50 კ. ცალკე № ყველგან 30 კ.
გაზეთის დაკვეთა შეიძლება შემდეგი მისამართით:
Тифлисъ почт. ящикъ № 199. РЕДАКЦІЯ „ЭРТОБА".
ამხ. და თანამგრძნობთ გთხოვთ ხელის მოწერას ნუ დააყოვნებენ.

სად. თფილისის დამცველი „ოხრანა" ამით აუწყებს ყველა პარტიულ და თანამოაზრე ამხანაგებს, რომ კვირას, 8 აპრილს 12 საათზე (ახალ დროზე) გადახდილ იქნება საორმოცო წირვა და პანაშვიდი გარდაცვალებული ჩვენი ამხ.

## ქორქიკა მირზოევის

სულის მოსახსენებლად, რომელიც შეიქნა მსხვერპლი თელავში ბნელ ძალებთან ბრძოლაში.

გულ დათუთქული მეუღლე გულიზარ, შვილები: აქსენტი, ვლადიმერ და აგრაფინე, სიძე გრიშა დათუნაიშვილი, ქალიშვილი ანეტა, მწუხარებით აუწყებენ ნათესავს და მეგობრებს, რომ 4 აპრილს ს. ქვედაბახვს (გურია) ხანმოკლე ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

## სილიბისტრო როსტომის ძე მახარაძე

გასაფლავება მოხდა შვიდ აპრილს. (1—1)

## მომხმარებელი საზოგადოება „ალორძინება"

8 აპრილს დილის 10 საათზე სახალხო უნივერსიტეტის შენობაში (მიხეილის პრ. № 91) დანიშნულია გაგრძელება ხელმეორედ მოწვეულ წევრთა საზ. კრებისა.

დღის წესრიგი:

1. არჩევნები საზოგადოების ადმინისტრაციისა.

კრება შესდგება რამდენი წევრიც არ უნდა დაესწროს.

(2—2) გამგეობა.

## განცხადება

თფილისის ქალაქის გამგეობა აცნობებს ქალ. თფილისის მცხოვრებთ და დაწესებულებებს, რომ, ვინაიდან ქალაქს მრავალი გამოქცეული აწუხება და მათთვის კი არ არის თავისუფალი ბინები, ყველა სადგომები: კლუბებისა, კინემატოგრაფებისა, „ჩაშკა ჩაის" და სასწავლებლების ჩარიცხული აქვს ქალ. გამგეობას გამოქცეულთა მოსათავსებლათ, და არცერთ ორგანიზაციებს და სახლის პატრონებს უფლება არ აქვთ გამგეობის დაუკითხავათ ზემოხსენებული შენობებით სარგებლობის. (3—3)

## შაქარი

ხელ ახლა დანიშნულია მესამე სერიის სასურსათო ბარათებისა (შაქარზე, ნავთზე და სხვ.) აპრილის, მაისის და ივნისისათვის. ბარათები მიეცემა მხოლოდ და მხოლოდ სახლის კომიტეტებს. იმ მოქალაქეებმა, რომელთაც ჯერ არ აურჩევიათ სახლის კომიტეტები უნდა დააჩქარონ მისი არჩევა. სახლის კომიტეტებში შეუკავშირებელთ ბარათები არ მიეცემათ.

ყველა საჭირო რჩევა და ინსტრუქციები სახლის კომიტეტის მოსაწყობათ მიიღება საუბნო სასურსათო კომიტეტში.

(3—3) ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილება.

ოთხშაბათს, 11 აპრილს 1918 წ. დილის 9 საათზე, სახალხო სახლში შესდგება

## საზოგადო კრება

რესტორნების, კლუბების, სასადილოების და სხ. დაწესებულებათა მოსამსახურეთა პროფ. კავშ. წევრთა კრება.

დღის წესრიგი:

1) თანამედროვე მომენტი, 2) მოხსენება გამგეობისა და სარევიზიო კომისიისა, 3) განხილვა და დამტკიცება ანგარიშისა, 4) ვაგზალი, ბორჯომი და მათი ანგარიში, 5) უმუშევრობა და მასთან ბრძოლა, 6) დამატებითი არჩევნებ გამგეობისა და სარევიზიო კომისიისა და 7) მიმდინარე კითხვები.

გამგეობა სთხოვს ამხანაგებს აუცილებლად დაესწრონ დანიშნულ დროს კრებას. (2—1)

## მომხ. საზოგ. „მოსავლის" წევრების საყურადღებოთ.

თფილისის გაზეთებში განცხადებაა მოთავსებული მოსამსახურეების საბჭოსაგან, რომ კვირას, 8 აპრილს დანიშნულია საზოგადოების კრება საზოგ. წევრების. წესდების ძალით მოწვევის უფლება აქვს მხოლოდ გამგეობას, რომელსაც მოიწვევს 15 აპრილში. ადგილი კრებისთვის ცალკე იქნება გამოცხადებული.

(1—1) გამგეობა.

სამკურნალო კაბინეთი

ექიმი ალექსანდრე დავითის ძის

## კეკელიასი

მიიღება კანისა, ვენერიულისა და სიფილისიანი ავათმყოფები. (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება 5—8 საათამდე საღამოთი. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ ტელეფონი 14—28.

ექიმი

## ვ. ვ. კლდიაშვილი

შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ღებულობს ყოველ-დღე დღის 12—1 საათ. და საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: პეტროგრადის ქუჩა № 4, კუთხე მიხეილის პრ. ტელეფონი 8—48. ვაგზლის სამკურნალოში მიიღებს ყოველ-დღე დღის 1—2 საათამდე.

## ჩვენი პერსპექტივა

ამიერ-კავკასიის ერები დიდი საფრთხის წინაშე სდგანან და მათი პერსპექტივა (მომავალი) სქელი ბურუსითაა მოცული.

შინაური და საგარეო ურთიერთობა ისე გართულდა, ერთი-მეორეზე ისე გადიხლართა, რომ ხალხს დიდი სიფრთხილე მართებს, რომ უფსკრულში არ გადიჩეხოს.

ყოველი მოუფიქრებელი ნაბიჯი, ყოველი მოუფიქრებელი ორიენტაცია მას წარმოუდგენელ უბედურებას დაატეხს თავს და ამიერ-კავკასიის ზოგიერთი ერები შესაძლებელია ფიზიკურათ ამოსწყდებიან.

ვინ არ იცის, რომ ჩვენ კვლავ ბრძოლის პროცესში ვიმყოფებით, საგარეო ომს ვაწარმოვებთ და ზავი არ შეგვიკრავს.

ოთხი წლის მსოფლიო ომის მეოხებით ჩვენი ხალხი ყოველ მხრივ დასუსტდა და ჩვენ შედარებით ძლიერ მოწინააღმდეგესთან გვაქვს საქმე და მის წინაშე ჩვენს არსებობას ვიცავთ.

მტერი ძლიერია კიდევ იმითი, რომ მას მხარს უმაგრებს ჯერ-ჯერობით გამარჯვებული კოალიცია და ეჭვს გარეშეა, შეერთებული ძალებით თუ არა, უკანასკნელის დახმარებით მოიწევს ჩვენსკენ.

ჩვენ კი მომხმარე არსაიდან გვიჩანს, ძლიერი მოკავშირე არ გვყავს და საკუთარ ძალებზე ვართ დაყრდნობილნი.

თვით შინაური ძალებიც კი ერთსულოვნათ აქტიურ დახმარებას არ გვიწევენ და ამიერ-კავკასიის ერების ერთი უდიდესი ნაწილი სამარცხვინო „ნეიტრალიტეტს" იცავს.

ამ მხრივაც ჩვენი მდგომარეობა მეტათ უნუგეშოა, ჩვენი თავდაცვის საქმე უმწეო მდგომარეობაშია.

ასეთ პირობებში მყოფი პატარა ერი მფარველს საჭიროებს, ქომაგს ეძებს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი გაისრისება და ფიზიკურათ მოისპობა. მაშასადამე, ამიერ-კავკასიის ერები იძულებულნი არიან მოკავშირე ეძებონ.

ძველი მფარველი აღარა გვყავს; ის დიდი ერი, რომელიც მთელი საუკუნის განმავლობაში გარეშე მტრისაგან გვიფარავდა,—დღეს ისე დასუსტდა, რომ ახლო მომავალში მისგან დახმარებას ვერ ველირსებით.

მტერი კი ჩვენი ქვეყნის შუა გულში მოიწევს. ასეთ პირობებში მდგომარეობა აუწერელია, მით უმეტეს, რომ ოსმალეთის გვერდში მდგომი გამარჯვებული გერმანია თავის პირობების მიღებას გვთხოვს და იძულებულს გვხდის ორიენტაცია შევიცვალოთ.

მისთვის ჩვენ მიერ ორიენტაციის გამოცვლა უბრალო წინადადება არ არის, იგი ამაში ეკონომიურათ და პოლიტიკურათ დაინტერესებულია და ყოველ ზომას იხმარს თავისი განზრახვა სისრულეში მოიყვანოს.

მან დასავლეთისაკენ მრავალი ბუფერები გაიჩინა, რუსეთისაგან მრავალი ხალხები გამოყო და მათ თავს თავისი ორიენტაცია მოახვია. თვით მოწინააღმდეგე რუმინიაც კი იძულებული გახდა მოკავშირეებს გამოყოფოდა რუსეთის დანგრევის შემდეგ და გერმანიას მიკედლებოდა და ასე თავისი არსებობა უზრუნველეყო.

საზოგადოთ ყოველი წვრილი ერი ასეთ მსოფლიო ქარტეხილში იძულებული ხდება ორიენტაცია შეიცვალოს, იმისი ძალა აღიაროს, რომელიც მას ევლინება. ასეთია თანამედროვე კაპიტალისტური და იმპერიალისტური ურთიერთობის შედეგი და მის წინაშე მრავალი სუსტი ერები ინთქებიან.

ძალა აღმართს ხნავს. ჩვენც ასეთი უხეში ძალის წინაშე ვსდგევართ.

ვისთვისაა დაფარული, რომ ჩვენი ხალხი ახლანდელი მოწინააღმდეგე—ცენტრალურ სახელმწიფოების ორიენტაციას არ იზიარებდა და მის გულში ამგვარი მისწრაფება არ ყოფილა და არც არის, მაგრამ საერთაშორისო მდგომარეობა იცვლება და იცვლება მისი შეხედულებაც.

შესაძლებელია, ჩვენმა ხალხმა ხანგრძლივ და თავ-განწირულ ბრძოლის შემდეგ თავისი ისტორიული ორიენტაცია შეიცვალოს და მიემხროს იმას, ვინც მას აქამდის არ ეპაშნიკებოდა, რომ ამ გზით მაინც უზრუნველჰყოს თავისი ფიზიკური არსებობა.

მხოლოდ საქმე იმაშია, რომ ჩვენ ახალ ორიენტაციას უბრძოლველათ არ მივიღებთ; ვიბრძოლებთ იმ დრომდე, ვიდრე ჩვენს ახალ ორიენტაციას ძლიერი და კულტურული სახელმწიფო არ გამოესარჩლება და მისი უზრუნველყოფის გარანტიას არ მოგვცემს.

ჩვენ ფიზიკური გადარჩენა და მომავალი ცხოვრება გვინდა და ამას კი შესძლებს ის სახელმწიფო, რომელიც ჩვენს არსებობაში დაინტერესებულია.

მაშასადამე, ორიენტაციის გამოცვლა ისეთ უბედურებათ არ მიგვაჩნია, როგორც ეს ზოგიერთებს ჰგონიათ. უბედურებაა ის მაშინ, როცა ამას ჩვენზე უკულტურო სახელმწიფო შეგვაცვლევინებს და თავის ორიენტაციას თავზე მოგვახვევს.

ჩვენ იარაღით ხელში უნდა დავიცვათ ჩვენი არსებობა, ჩვენი მომავალი ურთიერთობა და იარაღი არ დავყაროთ მოზღვავებულ მტრის წინაშე.

მივემხრობით იმას, ვინც ჩვენს არსებობას უზრუნველყოფს და ჩვენი პერსპექტივა, ჩვენი მომავალის ხსნაც აქეთ არის.

## რა უნდა ვაკეთოთ?

ას წელზე მეტია, რაც ჩვენი ქვეყანა ასეთ გასაჭირში არ ყოფილა, როგორშიაც დღეს. საფრთხე მოელის არა მარტო ჩვენს რევოლიუციას, საფრთხეშია თვით ჩვენი არსებობის საქმე.

რაშია ჩვენი ხსნა? რა უნდა ვაკეთოთ, რომ რევოლიუციას ვერ დავიხსნით, არსებობა მაინც შევირჩინოთ?

როცა ასეთივე კითხვა დაისვა მეთვრამეტე საუკუნეში, მისი გადაწყვეტა ადვილათ შესძლეს ჩვენმა წინაპრებმა: საქართველოს დამოუკიდებლათ არსებობა აღარ შეეძლო და რადგან უნდა აერჩიათ ან ერთმორწმუნე ძლიერი რუსეთი ან ოსმალეთი და სპარსეთი, თითქმის უყოყმანოთ მიეკედლენ რუსეთს და მისი მფარველობის ქვეშ დადგენ.

ამ მხრით დღეს სულ სხვა მდგომარეობაა. დიდი და ძლიერი რუსეთი აღარ არსებობს, ის დაიყო რამდენიმე ნაწილათ, მრავალ კუთხეთ და მათ შორის შეთანხმების ნაცვლათ ხშირათ ბრძოლა არსებობს. რასაკვირველია წარმოუდგენელია, რომ კვლავ არ აღსდგეს ასეთი დიდი სახელმწიფო, როგორიც რუსეთია, მაგრამ ახლო მომავალში ამაზე ოცნებაც კი არ შეიძლება. და რაკი ეს ასეა, გვეუბნებიან: ფაქტიური მდგომარეობა, რომელშიაც ვიმყოფებით დაუყოვნებლივ იურიდიულ ფორმაში ჩამოვასხათ და ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობა გამოვაცხადოთო. ზოგი კი ისე შორს მიდის, რომ დღესვე შესაძლებლათ თვლის გამოცხადდეს საქართველოს დამოუკიდებლობა და ეხლავე შესდგეს საქართველოს ეროვნული მთავრობა.

რითი ასაბუთებენ თავის აზრს დღესვე გამოცალკევების მომხრენი?

ამიერ-კავკასიის გამოცალკევების შესაძლებლობა ჩვენ უკვე ვაღიარეთ, მაგრამ იმ პირობით, რომ ამ გამოცალკევებას თავდაცვის საქმე გაეადვილებია ჩვენთვის. ოსმალეთმა ეს არ მოისურვა. მან არ სცნო ჩვენი საზღვრები და ბათუმ-ყარს-არტაანის დაპყრობას შეუდგა. ასეთ პირობებში დამოუკიდებლობის გამოცხადება სულაც არ აძლიერებს ჩვენს პოზიციას, პირიქით, ასუსტებს კიდეც ჩვენი თავდაცვის საქმეს. ამიტომ ჩვენ ვერ დავეთანხმებით, რომ ერთის მხრით ბათუმი, ყარსი და არტაანი ოსმალეთმა შეიერთოს და იმავე დროს ჩვენ მისი სურვილისამებრ დამოუკიდებლობა გამოვაცხადოთ. ერთი სიტყვით, ჩვენ ვერ მივიღებთ ოსმალეთის მიერ წამოყენებულ პირობებს და საკუთარი ხელით თავს ვერ მოვიკლავთ.

გვეტყვიან: ჩვენ სუსტნი ვართ, იარაღი და სურსათი გვაკლია, ოთხი წლის ომით დაქანცული ვართ; ოსმალეთს კი ძლიერი გერმანია უმაგრებს ზურგს და ამიტომ, სულ ერთია მაინც დავმარცხდებითო.

მართალია ომისთვის მზათ არა ვართ, ბევრი გვაკლია, მაგრამ კითხვა ასე არა სდგას. საკითხავია: გვიხსნის თუ არა ჩვენ მორჩილება, გამოგვიყვანს თუ არა გაჭირვებიდან იარაღის დაყრა. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ არა. ოსმალეთის სურვილია ხელში ჩაიგდოს მთელი ამიერ-კავკასია. ვინ იცის, იქნებ კიდეც შევრიგებოდით ამ გარემოებას, რომ ოსმალეთს შეეძლოს საკუთარის ძალებით მართოს ჩვენი კუთხე. მაგრამ დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ოსმალეთს ამის თავი არ აქვს. ამიერ-კავკასიის დასაჭერათ ცოტა რომ ვსთქვათ ორმოცი-ორმოცდაათი ათასი ჯარისკაცი მაინც არის საჭირო და რადგან ოსმალეთს არ შეუძლია იყოლიოს აქ ამდენა ჯარი იმ დროს, როცა მესოპოტომიაში მას ინგლისი აწვება, ცხადია ის იძულებული იქნება დაეყრდნოს ადგილობრივ ძალებს, ამიერ-კავკასიის მუსულმანებს. ეს კი უეჭველათ გამოიწვევს ეროვნულ ბრძოლას: პირველ რიგში შეუდგებიან სომხების ამოჟლეტას, შემდეგ ჯერი ქართველებზე მიდგება. და კიდეც რომ ხელი არ გვახლონ რაიმე სასწაულის გამო, განა წარმოსადგენია, რომ ჩვენი ახლო მეზობლები ერთმანეთს ჟლეტდენ და ჩვენ უვნებელი გადავრჩეთ? ეს კარგათ უნდა გაითვალისწინონ იმათ, ვინც წარა-მარა ჩვენს სისუსტეზე ლაპარაკობს, ვინც იარაღის დაყრას და ოსმალეთის წინაშე წამოჩოქებას გვირჩევს.

ამბობენ ოსმალეთის უკან გერმანია დგას და ის, ოსმალეთს თავისუფლათ თარეშს ნებას არ მისცემსო. ეს არ არის მართალი. გერმანია ოსმალეთს არ მისცემს ამიერ-კავკასიას, მაგრამ როგორც რუსეთიდან არ უნდა მოველოდეთ დღეს შველას, ისე არ უნდა გვქონდეს დღესვე არც გერმანიის იმედი. გერმანია ოსმალეთის შემწეობით და საშუალებით აკეთებს თავის საქმეს და გულუბრყვილობა იქნება ვიფიქროთ, რომ ის რაღაც კაცთმოყვარულ გრძნობებით ჩვენთვის თავს გამოიდებს.

დასკვნა ერთათ ერთია: თუ გვსურს, რომ თავი დავაღწიოთ იმ ანარქიას, რომელიც ოსმალეთის გაბატონებას მოყვება, თუ გვსურს, რომ ოსმალეთმა თავისი ალვირწახსნილი მადა შეზღუდოს, უსათუოთ უნდა შევქმნათ რეალური ძალა, უნდა ვიყოლიოთ გაწვრთნილი ჯარი. წინააღმდეგ შემთხვევაში დაღუპვა არ აგვცდება. ჩვენ ღრმათ გვრწამს, რომ თუ მტერი ქვეყნის შუაგულში შემოიჭრა, ხალხის ერთი ნაწილი იძულებული იქნება პარტიზანული, მოუწყობელი ბრძოლა აწარმოვოს, რაც ნაყოფსაც ვერ გამოიღებს და ხალხს უეჭველ გაჟლეტამდე მიიყვანს.

ამიტომ დაუყოვნებლივ უნდა შევუდგეთ შეიარაღებას და ჯარში მტკიცე დისციპლინის შემნას. დროებით ყველაფერი უნდა დავივიწყოთ და მთელი ძალღონე თავდაცვის საქმეს მოვახმაროთ. სხვა გზა ჩვენ არ გვაქვს.

მდგომარეობა მძიმე და სერიოზულია. სასწორზე ძევს ჩვენი არსებობის, ყოფნა არ ყოფნის საკითხი.

მაშ მჭიდროთ შევკავშირდეთ და ყველაფერი თავდაცვის საქმეს მოვანდომოთ.

## პრესა

ბ. არ. ჯაჯანაშვილი „სახალხო საქმეში" ეძებს ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის მტრებს. ის სწერს:

„ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობას ბევრი მტერი ჰყავს; ყველაზე დიდი და სასტიკი მტერი ამ დამოუკიდებლობისა არიან—რუსის ის მოხელენი, რომელნიც მიუხედავათ პოლიტიკური სიტუაციის შეცვლისა, ისევა სხედან რუსეთის ყოფილ სახელმწიფოების მიერ ბიუროკრატიულ კანცელარიებში, მათ არ ეკარგებათ იმედი, რომ დაჰკრავს კიდევ ჟამი, ჟამი კონტრ რევოლიუციისა და მაშინ კვლავ რუსული ნაციონალისტური დროშა აფრიალდება იქ, სადაც ეხლა რევოლიუციისა და თავისუფლების წითელი დროშა ფრიალებს. ჩვენი მთავრობაც რაღაც ბეცური ინერციით, პოლიტიკური სიბრმალის გამო, ერთს წერტილზე გაყინულა და ველარ მოუხერხებია ამიერ-კავკასიის მართვა-გამგეობა გადასცეს იმათ, ვინც ბუნებრივი მემკვიდრეა ამიერკავკასიისა—ერებს. ჩვენ გვგონია, რომ დროა ამ ფუქსავატსა და ჩვენი ქვეყნის დამღუპველ პოლიტიკას ბოლო მოეღოს. დროა ჩვენი ქვეყანა ხელიდან გამოვგლიჯოთ რუსეთის სახელმწიფოებრივი იდეის მატარებელ ადეპტებს, რუსეთის სახელმწიფოებრივი ინტერესების ჩინოვნიკებს და გადავსცეთ მართვა-გამგეობა იმით, ვისაც მიზნად აქვს დასახული განმტკიცება ამიერ-კავკასიის დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივობისა. დროა შინაურმაც და გარეშემაც გაიგოს, რომ მას შემდეგ, რაც რუსის ჯარმა დასტოვა ჩვენი ფრონტი და გაჭირების დროს გვიღალატა, მას შემდეგ, რაც რუსეთის მთავრობამ ჩვენს დაუკითხავად საუკეთესო ნაწილი ჩვენი კუთხისა ოსმალეთს დაუთმო და ამით მას კანონიერი გზა გაუხსნა ჩვენი ოლქების დასაპყრობად, მას შემდეგ, რაც, მიუხედავათ ყოველივე ამისა, ბოლშევიკები მაინც თავისას არ იშლიან და ჰსურთ ამ მოღალატეობის შემდეგ ისევ ჩვენს ქვეყანას დააწვნენ საჯიჯგნელად და დასამონავებლად,—ყოველივე ამის შემდეგ ჩვენ აღარავითარი უფლება არა გვაქვს კვლავ ილიუზიებით ვიკვებოთ თავი და კვლავ გადაუწყვეტელი დავსტოვოთ საკითხი ამ.-კავ. დამოუკიდებლობისა. დაე გაიგონ ყველამ, დაე მთელმა ქვეყანამ გაიგოს, რომ რუსეთმა გაგვყიდა და ეხლა მუხანათურათ გვესხმის ზურგიდან, გვესხმის მაშინ, როდესაც ჩვენ ჯერ გასასწორებელი საქმე გვაქვს ოსმალეთთან. გაიგოს ყველამ, რომ ჩვენ ყოველივე კავშირსა ვსწყვეტავთ რუსეთთან, როგორც სახელმწიფოსთან, რომ ჩვენ გვინდა თავისუფალნი ვიყოთ, დამოუკიდებელნი, რომ ჩვენ გვინდა ჩვენს თავს ჩვენ თითონვე მოუაროთ და ან გავსწყდეთ ყველანი ერთათ ან დავიცვათ ჩვენი თავისუფლება და დამოუკიდებლობა".

საუბედუროთ, ბ. ჯაჯანაშვილს გრძნობების სფეროში გადააქვს ისეთი საკითხი, რომელზედაც მთელი ერის მომავალია დამოკიდებული. გრძნობა კი ასეთს შემთხვევაში ვერ არის კარგი წინამძღოლი. განა საკითხი ასე სდგას, რომ რუსეთმა გვიღალატა და სამაგიეროთ ჩვენც დამოუკიდებლობა უნდა გამოვაცხადოთ? რუსეთს არავისთვის არ უღალატნია, რუსეთი ანარქიამ დააქცია და ამ ანარქიის მატარებელი გახდა ბოლშევიზმი. ახლა კითხვა ასე სდგას: რუსეთს დღე ჩვენი შველა არ შეუძლია, ხოლო ოსმალეთი ამით სარგებლობს და ჩვენს მოსპობას ცდილობს. და ბ. ჯაჯანაშვილი, რომ სამაგიეროს გადახდას თავს დაანებებდეს და იმას გვეტყოდეს, თუ რითი გადვირჩინოთ თავი ოსმალეთის ულლისაგან, ეს გაცილებით უკეთესი იქნებოდა. ჯაჯანაშვილიც ცდილობს ასეთი პასუხი მოგვცეს.

ის სწერს:

„შორს ჩვენგან ხელები ოსმალეთისა და რუსეთის იმპერიალისტებისა. ჩვენ გვინდა თავისუფალნი ვიყოთ და ვიბრძოლებთ კიდეც ამ თავისუფლებისათვის. ჩვენი მტერი იქნება ყველა, ვინც ჩვენი თავისუფლების შეზღუდვა მოისურვებს, ხოლო მეგობრად მხოლოდ იმას დავსახავთ, ვინც თავს არ გვესხმის და ჩვენი თავისუფლების დაღუპვა არა ჰსურს. ასეთია ერთად ერთი ჩვენი გზა, გზა ეროვნულ-პოლიტიკური განთავისუფლებისა მონობისაგან".

ჩვენ სულით და გულით ვიზიარებთ ამ უკანასკნელ შეხედულებას, მაგრამ არ გვჯერა, რომ დღესვე ოფიციალურათ დამოუკიდებლობის გამოცხადებას შეეძლოს ამაში ხელის შეწყობა.

## ლეჩხუმის ამბები

II.

წინა წერილში მე ავწერე თუ რამდენი უსიამოვნება და სიმწარე გამოსცადა ლეჩხუმში წასულმა რაზმმა, და როგორ უპასუხოთ და სამაგიერო წყენის მიუყენებლად გამობრუნდა იგი ქუთაისში. ბევრი ამას ან ლეჩხუმელების ძლიერებას და თანაც რაზმის სილაჩრეს მიაწერს ეს არ არის ასე. რაზმს არ შეეძლო იარაღი ეხმარა იმიტომ, რომ იმის წინ მოხუცები, ქალები, ბავშვები, საერთოდ უიარაღო გლეხკაცობა დააყენეს. ვერც ერთი რაზმას მიერ გასროლილი ტყვია მიზანს ვერ მიაღწევდა და უთუოდ გულისხმობდა უდანაშაულო მსხვერპლს. ასეთ პირობებში რაზმს არ შეეძლო უკან გამოსავალი გზა არ მოეძებნა და სისხლის ღვრას არ მორიდებოდა. მტკიცება: „რაზმი კლდეებში მომწყვდეულს, შეეძლოთ იარაღი აეყარათ და ყველა ამოეწყვიტათო", არ არის მართალი. თუ საქმე ბრძოლაზე მიდგებოდა, რაზმს აზრად ჰქონდა იქვე ახლოს სოფ.

საირმეში ასულიყო, რომელიც მაღლობზეა გაშენებული და პულემიოტებიან რაზმისათვის პირდაპირ მიუვალ სიმაგრეთ ჩაითვლებოდა. თავისუფალი იყო აგრეთვე რაჭის გზაც ნაქერალას მთით და ამ გზაზე არამც თუ რაიმე დაბრკოლება, პირიქით დახმარება უზრუნველყოფილი იყო ისეთი რევოლიუციონური საზოგადოებებიდან, როგორიც არიან ხვანჭკარა და ქვიში. ვიმეორებ თუ საქმე აქამდე მიდგებოდა, რაზმს შეეძლო ესარგებლა ყველა ამ საშუალებებით.

რა ხასიათის იყო და არის ლეჩხუმის მოძრაობა?

პირველად ეს მოძრაობა იყო ისეთივე როგორც ყველგან ჩვენში ჯარისკაცებისაგან დაწყებული ძალა-უფლების გარშემო. ჩქარა გლეხ ჯარისკაცებში თავისი ჯარისკაცი შვილების საშუალებით ჩაერია ხულიგანური ნაწილი ლეჩხუმის თავად-აზნაურობის და აი, აქედან იწყება მოძრაობის რეაქციონური მხარე. რომ ეს ასე არ იყოს, აბა, გლეხ ჯარისკაცებს რაში ეინტერესებოდათ დავით კოპალიანის და შარდენ ყრუაშვილის ციხიდან გაშვება და გოლეთიანის ციხეში შეყვანა? განა კოპალიანს და ყრუაშვილს მთელი ლეჩხუმის გლეხკაცობა არ იცნობს და წყევლა-კრულვით არ იხსენიებს?!

მტკიცება იმისა, რომ მოძრაობა ზოგიერთ უვარგის თანამდებობის პირთა დაცვლას გულისხმობდაო, მართალი არ არის. ყველა ეს თანამდებობის პირები გამოცვლას თითონ იხვეწებოდენ და ამისთვის აბა რა თოფ-იარაღი იყო საჭირო? იანვარში თუ დეკემბერში მოწვეული იყო სამაზრო კრება აღმასრულებელი კომიტეტებისა, ყველამ ითხოვა განთავისუფლება, ზოგი წავიდა და ვინც დარჩა, დარჩა დაუსრულებელი თხოვნით და თავის სურვილის წინააღმდეგ. მე არ ვიცი უფრო სამწუხარო მდგომარეობა თუ შეიძლება: კაცი სამსახურიდან მიდის და არ უშვებენ, ხოლო ერთი თვის შემდეგ კი სჯი რატომ მსახურებო?! რომ მოძრაობა ასეთ რამეებს არ გულისხმობდა და უფრო შორს მიდიოდა აი, ამისი ნიშნებიც: სასიკვდილოდ დევნა დაუწყეს მასწავლებელ ისმაილ ხეცურიანს, ხოლო პირველ კაცად მიიღეს თავის წრეში ბეჟო კენჭაძე. ამ ორში ხეცურიანი არცერთ ყბათ აღებულ დაწესებულებებში არ მსახურებდა, ხოლო კენჭაძე ქრთამის აღების გამო გაძევებული იყო რევოლიუციონური ორგანიზაციებიდან. თუ მხოლოდ და მხოლოდ ცუდ პიროვნებებს სდევნიდენ, მაშინ რას ერჩოდენ ხეცურიანს და რათ არ დაიჭირეს ან თავის წრეში რათ მიიღეს კენჭაძე? აგერ ერთი თვე გავიდა, რაც ჩვენი ამხანაგი გოლეთიანი „ბრალმდებელთა" ხელშია და ვერავინ ვერ შესძლო მისი არა რევოლიუციონერობის და უკადრისი საქციელის დამტკიცება. მიუხედავათ ამისა, ის მაინც თავისუფალი არ არის. რას ნიშნავს ეს? სჩანს თუ არა ამაში ლეჩხუმის მოძრაობის ცუდი მხარე?

რომ ჯარისკაცთა მოძრაობაში შეიჭრა თავად აზნაურობის ხულიგანური ნაწილი, და თავისი საქმეების კეთება დაიწყო, ეს სჩანს ჯერ რაზმის წინ უიარაღო გლეხკაცობის დაყენებასა და სისხლის ღვრის უეჭველ ცდაში; შემდეგ ეს სჩანს ლევან დადეშქელიანის მკვლელობაში, ხოლო ყველაზე უფრო აშკარად ეს სჩანს იმ ხელმძღვანელ წრეში, რომელიც ლეჩხუმის მოძრაობამ მოგვცა. ლეჩხუმის მოძრაობას ეხლა ხელმძღვანელობენ, ჩუმათ, მალულათ, შორიდან სხვებთან ერთად მღვდელი ივანე მარგიანი, გლეხთა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარეთ აირჩიეს სვანი ამბროსი პირველი, ხოლო ამათი იარაღი და აღმასრულებელი ძალა არის: დავით კოპალიანი, შარდენ ყრუაშვილი, კახიძე, ჩაკვეტაძე და ბეჟო კენჭაძე.

ვინ არიან ეს ვაჟბატონები?

რ. ყიფიანი.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

### „მენშევიკების სიმხეცე".

„ბორბა"-ში ვლ. ვ. შემდეგს სწერს: „თითქოს რუსეთის დემოკრატიისადმი ჩვენი მიმართვის პასუხათ ტელეგრაფმა მოგვიტანა ცნობა იმის შესახებ, რომ მოსკოვში და პეტროგრადში იმართება მასსიური მიტინგები კავკასიის საქმეების გასარჩევათ.

მომხსენებლებათ გამოდიან ბოლშევიზმის საუკეთესო ძალები ლუნაჩარსკის მეთაურობით.

მიტინგებზე გამოაქვთ საპროტესტო რეზოლიუციები... „მენშევიკების სიმხეცის" წინააღმდეგ კავკასიაში. ლუნაჩარსკი თავის მოხსენების შესახებ აფიშაზე ასეთ სათაურს აწერს: „კავკასიის მენშევიკები ჯალათების როლში"...

ტელეგრაფს არ გადმოუცია ჩვენთვის დაწვრილებითი ცნობები ამ ახალ კამპანიის შესახებ, რომელიც დაიწყეს მხიარულმა ბოლშევიკებმა საბჭოთა მთავრობის მფარველობის ქვეშ.

საინტერესო იყო გაგვეგო დაწვრილებით, სახელდობრ, ჩვენი პარტიის

რომელმა დანაშაულობამ მიიპყრო პეტროგრადისა და მოსკოვის „ამხანაგების" ყურადღება.

ალბათ, ასეთი დაანშაულობა ცოტა არ მოხდარა, როცა მათ წინააღმდეგ პროტესტის განცხადება საჭიროთ ჩასთვალა ისეთმა ხალხმა, რომელმაც ახალი სახით აღადგინა ძველი ჯალათობა და სისხლით მორწყო მთელი რუსეთი.

ალბათ, ჩვენი დანაშაული ცასაც კი სწვდება, როცა მან გამოიწვია აღშფოთება კოკოშკინისა და შინგარიოვის მკვლელებს შორის, კიევის, ოდესისა და როსტოვის დამპყრობელთა შორის, იმ ხალხთა შორის, რომლებიც მიჩვეული არიან ყველაზე უფრო საშინელ ძალადობას, ყველაზე უფრო საზიზღარ სისასტიკეს.

ჩვენ ველით რუსეთის გაზეთებს, სადაც დაწვრილებით იქნება აწერილი ჩვენ მიერ ჩადენილი „სიმხეცე".

ჯერ-ჯერობით კი ჩვენ იძულებული ვართ დავკმაყოფილდეთ საქმის წინასწარ განჭვრეტით: ალბათ, ჩვენი სიმხეცე—ეს ჩვენი გმირი წითელ გვარდიელების გამარჯვებაა, რომლებიც თავ-განწირვით იღუპებოდენ კონტრ-რევოლიუციონურ ბრბოთა ტყვიით საბახლოში და ცხინვალში.

ალბათ, ჩვენი სიმხეცე,—ეს ჩვენი უიარაღო ამხანაგების სიკვდილია, რომლებიც მოიჩქაროდენ სამშობლოში ოსმალეთის შემოსევისაგან მის დასაცავათ და რომლებიც დახვრიტეს არმავირში.

ალბათ ..

მაგრამ ეს ხომ საქმის მხოლოდ წინასწარ განჭვრეტაა.

ერთი კი აშკარაა. გასისხლიანებულმა ხუმარებმა, რომლებმაც დაიწყეს მოსკოვში და პეტროგრადში წასისიანება მენშევიკურ ამიერ-კავკასიის წინააღმდეგ ყველამ არ იცის, სანამდე მივყევართ ამ თამაშს და ვისთვის არის იგი საჭირო.

მაგრამ ამის შესახებ იციან ბერლინში და კონსტანტინეპოლში.

ამის შესახებ კარგად იციან მათ, ვისთვისაც სასარგებლოა უფსკრულის გათხრა ამიერ კავკასიის დემოკრატიისა და რუსეთს შორის".

## დეპეშა

**ქუთაისი.** ახალ სენაკიდან სალაყაია იტყობინება, რომ ჩვენმა რაზმებმა ჯუღელის, კონიევის, გაჩეჩილაძის და ერქომაიშვილის მეთაურობით ჯერ კიდევ გუშინ დაიკავეს ბანძა. ბრბოს ნაწილი დაგვნებდა, ნაწილი ნოქალაქევისაკენ წავიდა, სადაც იმყოფება მეამბოხეთა მთავარი ძალა. გუშინ და დღეს დილით იქ სწარმოებდა სროლა. მოქმედებდენ ჩვენი ზარბაზნებიც. მოთავეებს ატუსაღებენ. ჩვენის მხრით მსხვერპლი არ არის. ძველსენაკიდან ნოქალაქევამდე ხდება იარაღის აყრა. იმედია, რომ სულ რამოდენიმე დღის განმავლობაში მოეღება ბოლო ეგრეთ წოდებულ „ბოლშევიკურ" მოძრაობას.

ზ. გურული

(რადიო დეპეშები).
6 აპრილი.

**სტამბოლი.** პალესტინის ფრონტი. ჩვენმა ჯარებმა დაიჭირეს ბაიაზეთი. დანარჩენ ფრონტზე არაფერი მნიშვნელოვანი არ მომხდარა.

**გერმანია-ა სტრიის ფრონტი.** ოფიციალური ცნობა მთავარ ბანაკიდან. გუშინ მტერმა დაჰკარგა ფლანდრიის დიდი ნაწილი, რომლის შესანარჩუნებლად მან დიდძალი ხალხი დაჰკარგა. გენ. პიკსტაფონ არენის ჯარი მტერს უკან დაედევნა და შენბახამდე დაახევინა.

უკანასკნელ დღეების ბრძოლაში ტყვეთ წამოვიყვანეთ 2.500 კაცი, ხელში ჩავიგდეთ რამდენიმე ზარბაზანი და აუარებელი თოფი. სომმის ორივე ნაპირზე საარტილერიო ბრძოლაა. მოსსელის ჩრდილოეთით დავამარცხეთ მტრის ძლიერი ჯარები და დიდი ზარალი მივაყენეთ. ფრონტის დანარჩენ ნაწილზე საყურადღებო არა მომხდარა რა.

ფლანდრიაში და ლისის ახლო მდგომარეობა არ შეცვლილა. მორსულის ჩრდილო-დასავლეთით ფრანგებმა შემოგვიტიეს, მაგრამ დიდი ზარალი მივაყენეთ და უკან დავახევინეთ.

## ახალი ამბები

**საადგილ-მამულო რეფორმა.** მუსულმანთა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის „ჰუმეტი"-ს დახმარებით საადგილ-მამულო რეფორმის განხორციელების საქმეს მკვიდრი საფუძველი ჩაეყარა განჯის გუბერნიაშიც. სამიწათ-მოქმედო სამინისტრომ უკვე დანიშნა ემისარები დარწმუნებულები, რომლებიც ამ დღეებში გაემგზავრებიან განჯის გუბერნიაში და შეუდგებიან მუშაობას.

— გარეშე მტრის მოახლოების გამო გურიის ემისარი შეეკითხა სამიწათ-მოქმედო სამინისტროს, განაგრძონ თუ არა მუშაობა საადგილ-მამულო რეფორმების განსახორციელებლათ. სამინისტრომ ამ შეკითხვაზე დადებითად უპასუხა, ე. ი. ყველა უნდა შეეცადოს მთელი ძალღონით მიწის კანონის განხორციელებას,

მიუხედავათ სხვადასხვა გვარ დაბრკოლებებისა.

◆ **ამიერ-კავკასიის დაცვის მთავარი საბჭოს** დადგენილებით აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარეს ამხანაგი ი. გ. ქარცივაძე დაინიშნა ამავე საბჭოს სურსათის განყოფილების გამგეთ.

◆ **ბეჭვდითი საქმის მუშათა საზოგადო კრება.** დღეს, დილის 11 საათზე სახალხო უნივერსიტეტში (მიხეილის ქუჩა) დანიშნულია ბეჭვდითი საქმის მუშათა საზოგადო კრება. დღის წესრიგია: 1) გაფიცვის მიმდინარეობა და 2) ახალი ტარიფის განხილვა და დამტკიცება.

◆ **მილიციის უფროსის** განკარგულებით სამსახურიდან დათხოვნილ იქნა და ორი კვირით ციხე მიუსაჯეს უმცროს მილიციონერს ლავრენტი გეორგობიანს, რომელიც ქუჩაში მთვრალი გამოვიდა. სიმთვრალის გამო დაატუსაღეს მეეტლე პავლე ივანოვი.

◆ **ეკატერინოვკის** (თფილისის გუბერნია) კომისარი იტყობინება, ეკატერინოვკასთან დაიწყო არეულობა ნაციონალურ ნიადაგზე. მუსულმანები ხმებს ავრცელებენ, რომ ოსმალეთის ჯარი გვიახლოვდებაო. გთხოვთ მიიღოთ სასწრაფო ზომებიო.

◆ **ქალაქის თვითმართველობამ** აღძრა შუამდგომლობა დაიკეტოს ადგილობრივი სასწავლებლები 14 აპრილიდან, რადგანაც სკოლის შენობები საჭიროა ლტოლვილთა მოსათავსებლათ. გამგეობის დადგენილებით რეკვიზიციას მოახდენენ „თფილისის საკრებულოს" ლტოლვილთათვის თავშესაფარის მოსაწყობათ.

◆ **ქალაქის სასურსათო გამგეობა** სთხოვს გუბერნიის სასურსათო კომიტეტს მისცეს ქალაქს აპრილისათვის 13 ვაგონი შაქარი. ფულს გადაიხდის შაქრის გაყიდვის შემდეგ.

◆ **იაფ-ფასიანი სასადილოები** გაიხსნება ამ დღეებში ქალაქის სხვადასხვა უბნებში. სადილი ეღირება 3 მანეთი. გამგეობამ გადასდო 25 ათასი მანეთი და თვიურად თითო სასადილოს 1,265 მანეთს მისცემს. პირველი სასადილო გაიხსნება ჩერქეზიშვილის ქუჩაზე.

◆ **სახალხო თეატრი.** დღეს სალამოს სახ. სახლ. არს. ქართ. წარმოდგენების მმართველ წრის მიერ ვასო აბაშიძის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება: შირვანზადეს დრამა „ნამუსისათვის". დასაწყისი საღამოს შვიდის ნახევარ საათზე. ადგილების ფასი სახალხოა.

◆ **წითელ გვარდიელთა კრება.** დღეს, 8 აპრილს დილის 10 საათზე პუშკინის სახელობის შენობაში (მე-5 უბანი, ხარფუხი) დანიშნულია საერთო კრება ყველა ორთაჭალის რაიონის წითელ გვარდიელებისა.

◆ **ნიხრის დარღვევისათვის** მილიციის უფროსის განკარგულებით 2 თვით ციხე მიუსაჯეს რახიმ მუსა ოღლის.

◆ **თავდასხმა.** გენ. ნაზარბეგოვი დეპეშით იტყობინება, რომ შახტახტში ჯავშნიან მატარებელს თავს დასხმიან თათრები. რკინის გზის ლიანდაგი აუყრიათ და მოითხოვენ ჯავშნოსანის იარაღის აყრას.

◆ **ახალციხის** ქალაქის თავი ზორიანი ატყობინებს მთავრობას, რომ აბასთუმანიდან ქრისტიან ცხოვრებლებს არ უშვებენ. მდგომარეობა მეტად სერიოზულია. საჭიროა მიიღოთ საჩქაროთ ზომებიო.

◆ **თავდაცვის შტაბის** განკარგულებით შეიპყრეს ბეს. შოთაშვილი, ნიკ. კარიჭაშვილი და სოლალეშკო. ამათ ბრალდებათ ავაზაკების ჯგუფში მონაწილეობის მიღება. ამავე შტაბის განკარგულებით რესტორან „პურღვინოში" ჩხუბის ატეხისთვის შეიპყრეს ზაქ. კობესაშვილი და სოლ. პავლიაშვილი.

◆ **ოსმალეთის წყაროდან** მიღებული რადიო-დეპეშით ბაში კილი და დეიერი გარშემორტყმულია ოსმალთა ჯარების მიერ. ვანის ოლქი განთავისუფლებულია სომხების ჯარებისაგან. ჩრდილოეთით ყარსიც გარშემორტყმულია ჩვენი ჯარებითო.

### კრებები და მიტინგები.

დღეს, დილის 10 ს., რეალურ სასწავლებლის შენობაში (უზენი სახვ. № 4) დანიშნულია მომხმარებელთა საზოგადოების „მოსავლი"-ს წევრთა საერთო კრება.

— დღეს, საღამოს 11 ს., ქალაქის საბჭოს დარბაზში, დანიშნულია ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურეთა დელეგატების კრება.

— დღეს, სღამოს 5 საათზე დანიშნულია ქალაქის თვითმართველობის სოციალ-დემოკრატიული ხმოსანთა ფრაქციის კრება, თვითმართველობის დარბაზში.

— დღეს, დღის 12 ს., დანიშნულია საქართველოს ეროვნულ საბჭოს სხდომა. განსახილველია მიმდინარე მომენტი.

— დღეს, სალამოს 6 საათზე მეთხე რაიონის კლუბში, უდელნი ქუჩა № 3, შესდგება მორიგი საუბარი პარტიის წევრებთან, ამხანაგებს ვსთხოვთ აუცილებლათ დაესწრონ კრებას.

## მოღალატე აჭარავ!

მოძმეთა გულში ლახვარის ჩამცემო, ძმის სისხლში გასვრილო, მოღალატე და უსინდისო აჭარავ!.

შენ მიწასთან გაასწორე სამაჰმადიანო საქართველოს სახელი, შენ მას ახადე ნამუსი, შენ შეურაცხყე და წაბილწე ჩვენი წარსული და მომავალი...

ვინ მოგცა შენ ეს უფლება?!..

გვითხარი ჩქარა?

ძმის სისხლში გასვრილო აჭარავ!.. რას ეუბნები და რა პასუხი უნდა გასცე ჩვენს წარსულს და ჩვენს მომავალს?!..

სთქვი ჩქარა?..

რამ გაიძულა? ვინ შეგაცდინა? ვინ გაგსვარა ძმის სისხლში?!. რომ ოსმალეთზე უმალ შენ იშიშვლე ხმალი და შეღებე ის ძმის სისხლში.

ქვეყანაზე ერთად ერთი ნამუსი გვქონდა დარჩენილი და ისიც აგვხადეთ. . ნუ თუ ამას მოელოდენ თქვენგან ჩვენი ძმები ქართველი ქრისტიანები, რომლებიც სულ ჩვენზე ფიქრობდენ და ზრუნავდენ?!.. იმიტომ გიხსნათ განსაცდელისაგან და დაგიბრუნათ სიცოცხლე, რომ მისი გული ტყვიით გეგმირათ?!.. იმიტომ გკვება უკანასკნელი ოთხი წელი და იმიტომ დაგსტიროდა ცხარე ცრემლებით, რომ გაიძვერობით და მოღალატეობით მისი სისხლი გესვა?!..

სთქვი, რათ დაგჭირდა შენ ეს?!..

განა საქართველო ამას წარმოიდგენდა, რომ ასეთ განსაცდელის დროს შენ მას ზურგში ლახვარს ჩასცემდი?!.

განა შენ მათი სახელით არ სულდგმულობდი?

განა შენ მან არ გიხსნა განსაცდელისაგან? .

ეს—ხომ ყველაფერი კარგათ იცით და თქვენ გასვრილ საქმეში ჩარევამ კინაღამ განსაცდელში არ ჩააგდო მთელი ქართველი ერი...

დაგვიწყდათ ეს ყველა არა?!.

დაგვიწყდათ თქვენთვის თვალ ცრემლიანი და თავდადებული საქართველო, არა?!. დაგვიწყდათ აკაკი ჩხენკელიც, როდესაც ულირსათ იხსენიებთ მის სახელს!..

იყო დრო, როდესაც მისი სახელით სულდგმულობდით... იყო დრო, როდემის სახელს თაყვანსა სცემდით და მისი სახელის გაგონებაზე იმედით, სიხარულით ივსებოდით...

დაგვიწყდათ ეს ყველა, არა?!. და თუნდაც ეს ასე არ ყოფილიყოს, რა უყავით თქვენს საკუთარ სინდის და ნამუს..?!. ვის მიყიდეთ ის?! რომ ასე უსირცხვილოთ ახადეთ ნამუსი ჩვენს ქვეყანას?!

რით გინდათ ისტორიის წინაშე იმართლოთ თავი?!.

რით გსურთ დაიბანოთ და განიწმინდოთ ძმის სისხლში გასვრილი ხელები?..

განმეორებით გეკითხებით: ასე უსინდისოთ და უნამუსოთ ძმის სისხლით რომ მორწყავით სამაჰმადიანო საქართველოს მიწა-წყალი, ვინ მოგცათ თქვენ ამის უფლება?!..

რას ეუბნებით წარსულს და რა პასუხი უნდა გასცეთ მომავალს?! ნუ თუ თქვენ გგონიათ, რომ ამ უსინდისო და თავზე ხელ-აღებულ ღალატს მოძმეთა წინაშე შეგარჩენსთ მომავალი?..

იცოდეთ: არა და არა... იცოდეთ: პასუხს გაგცემსთ მომავალი სამაჰმადიანო საქართველო: სიმართლე თავისას გაიტანს და თქვენს სამარცხვინო საქციელს, ისევ სამაჰმადიანო საქართველოს მომავალი სამარცხვინო ბოძზე გააკრავს თქვენ უბედურნო, მოღალატენო და ძმათა სისხლში გასვრილნო და გათუთხულნო თქვენა...

თქვენი უსინდისო და უნამუსო საქციელით თავზრუ-დასხმული ერთი ქართველ მაჰმადიანთაგანი ჰაიდარ აბაშიძე.

6 აპრილი 1918 წ.

ქ. თფილისი.

## თავდაცვა გარეშე მტრისაგან

### მ ო წ ო დ ე ბ ა.

მშრომელნო დებო, დედებო!

ჩვენი სამშობლო განსაცდელშია და შველას ითხოვს.

ვინ უნდა დაეხმაროს მას, თუ არა ჩვენ?

დიახ, ჩვენ მშრომელმა დედაკაცებმა მას უნდა მივსცეთ რჩეული მეომრები ჩვენი შვილებიდან, მამებიდან, ძმებიდან და ქმრებიდან შემდგარი.

მათ ჩვენ უნდა ფიცი მივსცეთ, რომ ჩვენ მათ ზურგს გავუმაგრებთ, მათ დატოვებულ ქვრივ-ობლებს მამობას გავუწევთ.

შრომის შვილებო! თქვენ კარგათ იცით, რომ დღეს სამტრედია უმთავრესი ბაზაა, სადაც ათასობით თავგანწირული მეომრები თავს იყრიან და აქედან დარაზმული სამშობლოს დასაცავათ მიეშურებიან. აქ გმირები მხოლოდ რამდენიმე დღით რჩებიან.

სამტრედიის ქალთა ინტერპარტიულმა ორგანიზაციამ მოაწყო სასადილო.

დებო, დედებო, თქვენ კარგათ იცით, თუ რა ძნელია ყოველდღე რამდენიმე ათასი მეომრის საჭმელის გამზადება, მათი გამოკვება. ამ მოვალეობას დღეს ზემოხსენებული ორგანო პირნათლათ ასრულებს და სთხოვს იმ დებს, დედებს, რომლებიც მონაწილეობას არ ღებულობენ ამ საქმეში, დაგვეხმაროთ და შრომა გაიზიაროთ.

სამტრედიის ქალთა ინტერპარტიული ბიუროს თავმჯდომარე ნინო შენგელია.

P. S. ვსთხოვ სხვა გაზეთებს ეს წერილი გადაბეჭდოს. ნ. შ.

## ქუთაისის ამბები

ბევრმა ჯარისკაცმა ბათუმი დასტოვა და იარაღით შინ დაბრუნდა, ადგილობრივმა მთავრობამ უკვე მიიღო ზომები შეაჩეროს გამოქცეულები და ჩამოართვას იარაღი. 2 აპრილს დილას ადგილობრივმა მილიციამ და რკინის გზელებმა ტყიბულის რკინის გზის ლიანდაგზე ჩამოართვა გამოქცეულ ჯარისკაცთ აიარაღი. ჯარის-კაცებმა წინააღმდეგობის გაწევა მოინდომეს და ასტეხეს სროლა. სროლის დროს დაიჭრა ერთი მილიციონერი. ამავე დღეს რიონის სადგურზე ჩამოართვა იარაღი თფილისიდან მომავალმა ეშელონმა გამოქცეულ ჯარის-კაცთ.

— საერობო საარჩევნო კომისიამ წინადადება მისცა ადგილობრივ პოლიტიკურ პარტიებს, რომ პირველ აპრილისათვის უსათუოთ წარმოადგინონ სია ქუთ. სამაზრო საერობო ასარჩევ კომისიაში. სიებში აღნიშნულ უნდა იქნას კანდიდატების სახელი, მამის და გვარი, განათლება, პროფესია და მისამართი. სიაში შეიძლება ისეთი კანდიდატების წარმოდგენა, რომელნიც ამ ჟამად ქუთ. მაზრაში არ იმყოფებიან. სიას ხელს უნდა აწერდეს მათი ამორჩეული. ერთი და იგივე ამორჩეული სხვა და სხვა სიას ხელს ვერ მოაწერს.

— 27 მარტს; ღამით, აფიცერი მგალობლიშვილი მთვრალი თავის ამხანაგებით წყლის ბოჭკაზე იჯდა და ისე „დროებას ატარებდა". მიუხედავათ მებოჭკის ხვეწნა-მუდარისა ის ბოჭკას არ ათავისუფლებდა და რევოლვერით ემუქრებოდა. ამ დროს იქ გაჩნდენ მილიციონერი და ბაზრის მცველები, რომელთაც წინადადება მისცეს მგალობლიშვილს ბოჭკა დაეთმო პატრონისთვის. უკანასკნელი ამათაც რევოლვერით დაემუქრა, მაგრამ, როდესაც მისი მუქარის არ შეეშინდათ და დაპატიმრება მოუნდომეს, მან განაცხადა: მე 300 გვარდიელის უფროსი ვარ და ამეღამ ბათუმში მივდივარ. ამის შემდეგ ის გაანთავისუფლეს. ნამდვილად კი ეს ვაჟბატონი არავითარ გვარდიელებს არ უფროსობს და აგერ ერთი წელიწადია, რაც ქუთაისში აგრე წოდებულ „ავარებს" მეთაურობს და არა ერთს და ორს უწესოებას ახდენს. („ს. დ.").

## საად.-მამულო რეფორმა

**სიღნაღის მაზრაში** მიწის კანონის ცხოვრებაში გასატარებლათ გამოგზავნილი ამხანაგები (3 კაცი) მივედით სიღნაღში 22 მარტს. ვინახულეთ რამოდენიმე ადგილობრივი ამხ-ბი და მოვიწვიეთ მაზრის საადგილ-მამულო კომიტეტის კრება. აქ განხილულ იქნა კანონი მიწის შესახებ და შემდეგ შევიმუშავეთ გეგმა თუ საიდან და როგორ დაგვეწყო მუშაობა. გამოირკვა რომ ზოგ რაიონებში არ ყოფილა დაარსებული საად. მამ. კომიტეტები. პრაქტიკულ მუშაობისთვის საჭირო იყო მიწის მზომელი და საგუბერნიო საადგ. მამულო კ-ტის რწმუნებული, რომლებიც იქ არ იყვნენ ამ დროს. ჩვენ საჩქაროთ დეპეშით გამოვიწვიეთ თფილისიდან და ესენიც რამოდენიმე დღის შემდეგ მოვიდენ კიდეც ყველა საჭირო მასალით. შევადგინეთ მიმღები კომისია და გავემგზავრეთ ერთ ერთ (ქოდალოს) რაიონში. აქედან დავიწყეთ პრაქტიკული მუშაობა. რამოდენიმე მემამულეს (გვარათ ანდრონიკაშვილებს) ფორმალურათ ჩამოართვა კომისიამ მამული; ფაქტიურათ კი თითქმის ყველა მემამულეს ჩამორთმეული აქვს მიწა და ზოგისთვის ნორმაც არ დაუტოვებიათ. მემამულეთა უმრავლესობა გაქცეულია სადღაც, ალბათ დახოცვის შეშინებით, რადგან ხშირია ექსცესები, რომელიც ხდება ალვირ-წახსნილი პროვოკატორების მეთაურობით. მაგალითად, ჩვენი მისვლის წინა დღეებში ამ ვაჟბატონებს ისე აეღელვებიათ ბრბო, რომ თვითგასამართლება მოეხდინათ, ოთხი კაცი ჩერქეზიშვილი და ვაჩნაძეები დაეხოცათ და არ იცის კი ივითი იმ ხალხმა ვინც ეს ჩაიდინა, რატომ მოიქცა ასე მხეცურათ. იცის მხოლოდ იმ ნაძირალებმა, ვისი მეთაურობითაც ეს და სხვა ასეთები ხდება. ამათთვის კი ასეთი მოქმედება დროს გატარებას ნიშნავს. სარგებლობენ რა ხალხის შეუგნებლობით, მათ მიერ მოწყობილ ბნელ საქმეებს ხალხისავე სახელით ასაღებენ. შეგნებული ელემენტები ძლიერ ცოტაა აქეთ და ამათთან საბრძოლველათ სუსტია მათი ძალა, რადგან შეიარაღებულ ნაძირალებთან ბრძოლა ადვილი საქმე არაა. საჭიროა ენერგიული ზომები იქნეს მიღებული მათ წინააღმდეგ ყველა მოკეთე პირებისგან, რომელთაც საჭირო დახმარება მთავრობამაც უნდა გაუწიოს. მხოლოდ შემდეგ შეიძლება ხალხში ნაყოფიერი მუშაობა.

ჩვენ რამდენიმე ალაგას გვქონდა კრებები. კვირას, 1 აპრილს მოწვეული იყო მთელი რაიონის კრება. მიუხედავათ ცუდი ამინდისა, ხალხი საკმაოთ მოვიდა. კრებას გავაცანით მიწის კანონი, მოკლეთ აუხსენით მისი შინაარსი და მნიშვნელობა. მივუთითეთ მას შესაფერათ გატარებაზე ცხოვრებაში. აგრეთვე წინადადება მივეცით აერჩიეთ სარაიონო საადგ. მამულო კომიტეტი, რომელიც ჯერ არ ყოფილა არჩეული და შემდეგ კრება დავხურეთ, რადგან ძლიერი წვიმის გამო არ შეიძლებოდა მისი გაგრძელება. ხალხმა გადასწყვიტა მომავალი კვირისთვის უფრო სრული კრება იქნას მოწვეული და უფრო ფართოთ შევეხოთ ყველა საჭირო კითხვებს.

საერთოთ ხალხი დიდი ხალისით გვისმენდა, რაც იმედს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ჩვენი მუშაობა უნაყოფოთ არ ჩაივლის. ალფეხი.

**ლეჩაინდრაულ ონოდიის საზოგადოება** (სამეგრელო). ეს საზოგადოება შესდგება ოთხი დიდი სოფლისაგან. 25 მარტს ამავე საზოგადოების საადგილ-მამულო კომიტეტმა მოიწვია ყრილობა. საადგ. მამულო კომიტეტის თავმჯდომარემ პართენ ჯიქიამ წარუდგინა ყრილობას და აუხსნა-განუმარტა ამავე კომიტეტის მიერ შემუშავებული ინსტრუქცია.

„უმაღლეს ნორმათ, რომლის ზევით უნდა ჩამოერთვას მემამულეს მიწა, იქნას აღიარებული თანახმათ ამიერ-კავკასიის სეიმის დადგენილებისა 7 დეს. ე. ი. 19 ქცევა და რამდენიმე საჟენი. ამ რაოდენობაში შედის 1) სახნავ-სათესი მიწა, 2) გაშენებული მიწა, და 3) საძოვრო მიწა. არ შედის მხოლოდ საზოგადო ხასიათის ტყეები.

ამ ნორმის რაოდენობაში თუ არის სახნავ-სათესი მიწა იმდენი, რამდენიც პატრონს არ ესაჭიროება და საად.-მამულო კომიტეტი საჭიროდ იცნობს, გადაეცეს დროებით მიწის არ მქონე მუშას დასამუშავებლად უსასყიდლოდ.

თუ კულტურ-მეურნეობის მამული აღემატება ზემოაღნიშნულ ნორმას, ეს მამული რჩება დროებით პატრონს იმ პირობით, რომ ის უხდის იჯარას საად.-მამულო კომიტეტს.

მემამულეებისაგან ჩამორთმეული მიწა, გადასული საად.-მამულო კომიტეტის განკარგულებაში, იცემა იჯარით. იჯარის რაოდენობა ისაზღვრება მიწის ხარისხის მიხედვით. პირველ ხარისხოვან მიწაში წელიწადში უხდიან საად.-მამულო კომიტეტს ერთ ქცევაში 1 მანეთს, ხოლო მეორე ხარისხოვანი—50 კაპ. პირველ ხარისხოვან მიწად ითვლება ისეთი მიწა, სადაც მოდის არა ნაკლებ 25 ფუთ. ერთ ქცევაზე. ხოლო მეორე ხარისხოვანი—არა ნაკლებ 15 ფუთისა.

მიღებული თანხა ზემო აღნიშნულ მიწებიდან, მოხმარდეს ყოველგვარ საზოგადო საქმეს თანახმად სამაზრო საად.-მამ. კომიტეტის გადაწყვეტილებისა. საყანე მიწების დანაწილება ხდება შემდეგი წესით: მიწები დანაწილდება მეყანეთა შორის, სამყოფი მიწის მიხედვით (სარჩენთა რიცხვი). უპირატესობა ეძლევა ყანის მუშას. იმისთანა ოჯახს, სადაც ცხოვრობს 1 სული, მიეცეს I ხარ. მიწა 2 ქცევა, ანდა II ხარ. მიწა 3 ქცევა. ისეთ ოჯახს, სადაც ცხოვრობს 2 სული, მიეცეს I ხარ.—3 ქცევა—ანდა II ხარ. 4 ქცევა. ოჯახს კი სადაც ცხოვ. 3 სული მიეცეს I ხარ. მიწა 4 ქცევა ანდა II ხარ.—5 ქც. დანარჩენი ოჯახი სადაც ცხოვრობს სამ სულზე მეტი. ე. ი. 4—5—6 მიეცეს მიწა მხოლოდ სულზე 1 ქცევა კომიტეტის შეფასებით ე. ი. თუ კომიტეტი იცნობს, რომ მიწა უნაყოფოა, მაშინ მიუმატებს იმდენს, რამდენიც ოჯახს ეყოფა თავის შემადგენლობით.

ადგილობრივ ყოველგვარი ზომები უნდა იქნას მიღებული ტყის დასაცავათ, რომელსაც აქვს საზოგადო ხასიათი. ამიტომ წინადადებას ვაძლევთ ტყის ყველა ყოფილ პატრონებს და საზოგადოებას არ ახლონ ხელი ტყეს, ვინაიდან ტყე, რომელსაც აქვს საზოგადო ხასიათი, ეკუთვნის თვით საზოგადოებას. ვინც დაარღვევს ამ დადგენილებას დასჯილ იქნება სეიმის მიერ მიღებულ კანონის ძალით.

იმ საბალახო მიწებით, რომელიც არის ამავე საზოგად. საადგ.-მამულო კომიტეტის განკარგულებაში, სარგებლობა შეუძლიან ყველა ამავე საზოგადოების მოქალაქეებს უფასოთ. ადგილობრივ ყოველგვარი ზომები უნდა იქნას მიღებული, რომ ამ წელს მიწა თუ შესაძლებელია არ დარჩეს დაუთესავი.

ეს დადგენილება ძალაში შედის საზოგადო ყრილობის შეკრების დღიდან, თუ იგი იქნა დამტკიცებული.

ეს დადგენილება საზოგადო ყრილობამ მიიღო ერთხმათ და დაავალა საადგილ-მამულო კომიტეტს, რათა რაც შეიძლება მალე იქნას ცხოვრებაში გატარებული. საზოგადო ყრილობამ მისცა აგრეთვე კომიტეტს დამხმარედ წითელი გვარდიელები და ადგ. მილიციონერები. პ. ონოდიელი.

**მიწის მზომელთა ძალები.** ერთ წერილში ჩვენ ვამბობდით, რომ მიწის მზომელთა ძალები დაქსაქსულია სხვადა სხვა დაწესებულებებში, რომლებსაც თავ-თავისი საქმე და დანიშნულება

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ქორქიკა მირზოევი

რომელიც მოვალეობის მსხვერპლი გახდა თელავში ბნელ ძალებთან შეტაკების დროს.

ჰქონდათ მიწათ მფლობელობის და მიხედვით.

ამ ძალების დაგროვება და ამიერკავკასიითვის ერთფეროვან ორგანიზაციის შექმნა აუცილებლათ საჭიროა.

საჭიროა შესაფერი შტატების შექმნა იმავე სამინისტროს განკარგულებაში, რომლის ხელშიაც არის დღეს მთელი ადგილ-მამული.

როგორც გავიგეთ, ეს საკითხი უკვე არის დასმული სამიწათ-მოქმედო სამინისტროში, და სანამ შტატების პროექტი შემუშავდებოდეს, გაფანტულ ძალების უფრო ნაყოფიერათ გამოსაყენებლად მიწის რეფორმის განხორციელებაში, რომელიც უკვე დაიწყო ტფილისის გუბერნიის სხვადასხვა მაზრებში, დაუწესებიათ დროებითი კოლეგია სამი პირისაგან შემდგარი.

ამ კოლეგიის განკარგულებაშია მოვლი მიწის მზომლები სამი სამინისტროს უმთავრეს დაწესებულებაში მყოფნი. რაც შეიძლება დაჩქარებით უნდა შემუშავდეს სათანადო შტატები.

შტატების შედგენის დროს კი აუცილებლათ საჭიროა დიდი დაკვირვებით და გარჩევით იქნას ჩარიცხული ამ ახალ ორგანიზაციაში მიწის მზომლის სახელის მატარებლები.

ბევრი ისეთი პირებია მოქცეული სამიჯნაო დაწესებულებებში, რომლებსაც სპეციალური განათლება არა აქვთ მიღებული.

ამნაირ პირებს ძველი მთავრობის აგენტები დიდის სიამოვნებით ღებულობდენ, რადგან ისინი ყურმოჭრილ მონებათ უფრო გამოსადეგი იყვენ, ვინაიდან გრძნობდენ თავის სისუსტეს.

სუსტი ცოდნით აღჭურვილი პირები, რასაკვირველია, საზარალო იყვენ და იქნებიან საქმისთვის; ამას, ჩვენ ვფიქრობთ, მტკიცება არ უნდა.

გამონაკლისი, როგორც ყველგან, რასაკვირველია, აქაც იყო. ზოგიერთი ამ პირთაგანი ისე დახელოვნებულა პრაქტიკულათ და თეორეტიულათაც შეუვსია თავისი ცოდნა, რომ ყოველმხრივ მომზადებულ მიწის მზომელს არ ჩამოუვარდება.

გარდა სპეციალურ მომზადებისა, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს პირადობას და იმ გარემოებას, თუ როგორი „წარსულის" პატრონია ესა თუ ის მიწის მზომელი. ამას ჩვენ დიდ მნიშვნელობას ვაძლევთ.

თუ ძველი მთავრობის დროს ხალხი ითმენდა და ურიგდებოდა საზოგადოთ სხვადასხვა „ჩინოვნიკების", და მათ შორის ზოგიერთ მიწის მზომლების „ქცევას" და შიშით ვერ ბედავდა პროტესტის თქმას, დღეს ის პირდაპირ იტყვის თავის აზრს; მაგრამ სავალალო ის იქნება, რომ არა სასურველი პირების დღეს-დღეობით სოფლათ მისვლა სახელს შეუბღალავს ახალ მთავრობას და რევოლიუციას.

ძალიან საძნელო საქმეა გადაირჩეს, ესე ვთქვათ „პრობი" გაუკეთდეს, ვინ რა წარსულის პატრონია.

მაგრამ ის არ უნდა დავივიწყოთ, რომ ხალხი პირველ შეხვედრისთანავე გაარჩევს ნაცნობ პირებს და უშიშრათ დაუძახებს მათ შესაფერ დამსახურებულ სახელს.

მოწინავე მიწის მზომლები, რაც შეიძლება მეტი ყურადღებით, ენერგიით და გამჭრიახობით უნდა შეუდგენ მუშაობას და არა მარტო თავის ვიწრო სპეციალურ ფარგლებში, არამედ უფრო ფართოდ: აუხსნან ყველას, ვისთვისაც საჭირო იქნება, იდეია მიწის კანონისა და მისი ცხოვრებაში გატარების მნიშვნელობა. ამ ბაასს დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია, რადგან მიწის მზომელთა დიდი ნაწილი მეგობრულ და კარგ განწყობილებაში ყოფილა ხოლმე ხალხთან.

მუშაობის დროც დადგა და ჩვენ იმედს გამოვთქვამთ, რომ მიწის მზომლები შეგნებულათ მოჰკიდებენ ხელს ამ საქმეს.

ი. მესხი.

## პეტროგ. ფაბრიკა-ქარხნების მუშ. რწმუნებულების არა ჩვეულებრივი კრება

### დეკლარაცია.

ჩვენ, პეტროგრადის ფაბრიკა-ქარხნების მუშები მოგმართავთ მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოთა სრულიად რუსეთის ყრილობას შემდეგი განცხადებით:

25 ოქტომბერს 1917 წელს ბალშევიკების პარტიამ მემარცხენე ს.-რევოლიუციონერებთან ერთად შეიარაღებულ ჯარისკაცების და მეზღვაურების შემწეობით ჩამოაგდო დროებითი მთავრობა და ძალა-უფლება ხელში ჩაიგდო.

ჩვენ, პეტროგრადის მუშების უმრავლესობამ მივიღეთ ეს სახელმწიფოებრივი გადატრიალება, რომელიც ჩვენი სახელით და ჩვენდა შეუტყობინებლათ მოხდა და რომელშიც ჩვენ მონაწილეობა არ მიგვიღია. ეს მოხდა საბჭოთა მეორე ყრილობის წინ, როცა ამ ყრილობას უნდა ეთქვა თავის სიტყვა მთავრობის შესახებ.

კიდევ მეტი. მუშებმა მხარი დაუჭირეს ახალ მთავრობას, რომელმაც თავის თავი მუშათა და გლეხთა მთავრობათ გამოაცხადა და შეგვპირდა, რომ ჩვენი ნება-სურვილის თანახმათ იმოქმედებდა და ჩვენს ინტერესებს დაიცავდა. მისდა სამსახურად გამოვიდა ყველა ჩვენი ორგანიზაციები, მისთვის დაღვარა სისხლი ჩვენმა შვილებმა და ძმებმა. ჩვენ ვითმენდით შიმშილს და სიცივეს; ჩვენი სახელით სასტიკათ სჯიდენ ყველას, ვისზედაც ახალი მთავრობა მიუთითებდა, როგორც მტრებზე, ჩვენ ხმას არ ვიღებდით, როცა ჩვენ თავისუფლებას ფრთებს აჭრიდენ და სამაგიეროთ ბევრ სხვა რამეს გვპირდებოდენ.

არ გასულა ოთხი თვე ჩვენ აშკარათ ვიგრძენით და დავინახეთ, რომ ჩვენი რწმენა და იმედები ტალახში ამოსვარეს, ფეხქვეშ გათელეს.

ახალი მთავრობა თავის თავს უწოდებს მუშათა და გლეხთა საბჭოს მთავრობას. საქმით კი მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ საქმეებს საბჭოების გარეშე აკეთებენ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი არ იკრიბება და თუ შეიკრიბა, უხმოთ ადასტურებს სახალხო კომისარების მიერ თვითმპყრობელურათ მის დაუკითხავათ გადადგმულ ნაბიჯებს ვინც თანახმა არ არის მთავრობის პოლიტიკის, მოურიდებლათ ერეკებიან შეიარაღებულ ძალით. ყველგან მუშებს და გლეხებს ხმას არ აღებინებენ და მათ მაგიერ ლაპარაკობენ დელეგატები, რომლებიც თითქოს 10 მილიონიან ჯარის წარმომადგენელნი იყვნენ, იმ ჯარის რომელიც სრულიად გაიხრწნა ბალშევიკურ პოლიტიკის წყალობით, ფრონტიდან გამოიქცა და მხოლოდ და მარტო ქაღალდზე არსებობს. მუდამ, როცა მუშები შეეცდებიან თავიანთი აზრი გამოსთქვან საბჭოებში და ხელ ახალი არჩევნები მოახდინონ, ბალშევიკები სასტიკ ზომებს ღებულობენ მათ წინააღმდეგ და მათ ნება სურვილს ხელათ ახრჩობენ. არა ერთხელ ყოფილა მაგალითი, რომ ახალ მთავრობის წარმომადგენელნი ტყვიის მფრქვევლებით დაემუქრენ მუშებს, არა ერთხელ გამოსცადეს პეტროგრადის მუშებმა თუ როგორ დაუშინეს ტყვიები მათ კრებების და მანიფესტაციების დროს.

ჩვენ შეგვპირდენ, რომ დაუყოვნებლივ ზავს მოგვცემდენ, ზავს დემოკრატიულს, რომელიც უნდა ჩამოეგდო ხალხს თავიანთ მთავრობების გარეშე. საქმით კი ამ ახალ მთავრობამ სასირცხო ზავი მოგვცა და გერმანიის იმპერიალისტების მონა გაგვხადა. ჩვენ მოგვცეს ზავი, რომელიც მახვილს სცემს მთელ მუშათა ინტერნაციონალს და ჰკლავს რუსეთის მუშათა მოძრაობას. ჩვენ მოგვცეს ისეთი ზავი, რომელმაც დაგლიჯა რუსეთი და უცხო კაპიტალის საჯიჯგნათ გახადა, ზავი, რომელმაც ძირი გამოუთხარა ჩვენ მრეწველობას და მთელი რუსეთის ხალხის ინტერესები გაჰყიდა. ჩვენ მოგვცეს ზავი, რომლითაც არც კი ვიცით ჩვენი მონობის სწორე საზღვარი იმიტომ, რომ ბალშევიკური მთავრობა, რომელიც ასე გაჰყვიროდა საიდუმლო დიპლომატიის წინააღმდეგ, თვითონ აწარმოებს უფრო უარეს საიდუმლო დიპლომატიას და დასტოვა რა პეტროგრადი ჯერაც არ იტყობინება დაწვრილებით ზავის პირობებს, თვითონ უპასუხისმგებლოთ განაგებს მთელი რუსეთის ხალხის სახელმწიფოს და რევოლიუციის ბედს.

ჩვენ დაგვპირდენ პური. საქმით კი ყველანი აუტანელ შიმშილის მიგვცეს პირში. ჩვენ მოგვცეს სამოქალაქო ომი, რომელმაც მთელი ქვეყანა გაანადგურა. სოციალიზმის სახით ჩვენ მოგვცეს ის, რომ საბოლოოთ გაანადგურეს წარმოება, ბოლო მოუღეს მთელი ხალხის სიმდიდრეს. ჩვენ მოგვცეს მექრთამეობის და სპეკულიაციის სამეფო. ჩვენ წინ დაგვიყენეს ხანგრძლივ უმუშევრობის მთელი საშიშროება და ყოველივე საშუალება მოგვისპეს ამ საშინელ მტრის წინააღმდეგ საბრძოლველათ. პროფესიონალური კავშირები დაანგრიეს, ქალაქის საბჭო გარეკეს, და სხვა, სახალხო კომისარების საბჭო პეტროგრადიდან გარბის და ჩვენ ღვთის ანაბარა გვტოვებს, ხურავს ფაბრიკა-ქარხნებს და ყველას ჩვენ ქუჩაში გვყრის უფულოთ, უპუროთ, უმუშევრათ და მომავლისათვის ყოველ იმედს მოკლებულს.

ჩვენ დაგვპირდენ თავისუფლება. ნამდვილათ კი რას ვხედავთ? სად არის სიტყვის, კრების და კავშირების თავისუფლება? ყველაფერი პოლიტიკურ ტალახიან ფეხებით გასთელეს, ყველაფერს შეიარაღებულ ხელებით ბოლო მოუღეს. ჩვენი სისხლით ნაყიდ რევოლიუციის წლის თავზე ჩვენ ეხედავთ, რომ 1917 წლის დიდებულ თებერვლის დღეებში დამსხვრეული ბორკილები ისევ დაგვადვეს ხელ-ფეხზე. ჩვენ იმ სამარცხვინო მოქმედებამდე მივედით, რომ უსამართლოთ ჰკლავენ ყველას, სიკვდილით სჯიან ყველას, სიკვდილით სჯიან ისეთ ხალხს, რომლებიც ამავე დროს ჯაშუშები, პროვაკატორები, გამომძიებლები. ბრალმდებლები, მსაჯულები და ჯალათები არიან.

აი რისთვის იღვრება რუსეთში მუშათა და გლეხთა სისხლი. აი რისთვის გარეკეს დამფუძნებელი კრება, რომლის გულისთვისაც ჩვენი საუკეთესო ხალხი იღუპებოდა კატორღაში, ციხეებში, ციმბირში და გაბედულათ ადიოდა სახრჩობელაზე, რისთვისაც რამდენიმე ათი წელიწადი ვიბრძოდით ჩვენ და ჩვენი ძმები.

მაგრამ, არა! კმარა ეს სისხლი, კმარა ეს სირცხვილი, რომელიც უფსკრულისაკენ მიაქანებს რუსეთს და ძველი დესპოტის ადგილას ახალს გზას უკაფავს. კმარა სიცრუე და მოღალატეობა. კმარა ბოროტმოქმედება, რომელსაც ჩვენი, მუშების სახელით სჩადიან.

ჩვენ, პეტროგრადის ფაბრიკა-ქარხნების მუშები მოვითხოვთ ყრილობისაგან:

1) უარი სთქვას მოღალატურ ზავის დადასტურებაზე.

2) დაადგინეს გადაყენებულ იქნას სახალხო კომისარების საბჭო.

3) დაუყონებლივ მოწვეულ იქნას დამფუძნებელი კრება და მას გარდაეცეს მთელი ძალა-უფლება. სამოქალაქო ომის მოსასპობათ, რუსეთის თავისუფალ ხალხის გასაერთიანებლათ, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის და სურსათის საქმის მოსაწესრიგებლათ, მტრის წინააღმდეგ ძალთა შემოსაკრებათ და რუსეთის რევოლიუციის ინტერესებისათვის სასარგებლო ზავის ჩამოსაგდებათ.

## „ერთობის" კანტორა

უმორჩილესათ სთხოვს იმ პირთ, რომლებმაც 3—5 აპრილს რაიმე ფული შემოიტანა რედაქციაში და მიიღო კვიტანციები დაწყებული № 539-დან ვიდრე 570 მდე. შემოიარონ რედაქციაში და წარმოგვიდგინონ კვიტანცია ან და წერილობით გვაცნობონ კვიტანციის ნომერი, ფულის დანიშნულება და რაოდენობა, აგრეთვე მისამართი. ეს ძლიერ საჭიროა, რადგანაც წიგნაკი რედაქციიდან დაიკარგა და ადრესების აღდგენა უკვიტანციოდ შეუძლებელია. (2—2)

## სამწუხარო სინამდვილე

ერთი კვირის ავათმყოფობის შემდეგ, ოთხ აპრილს, მივედი ქართულ უნივერსიტეტში ლექციების მოსასმენათ, რის ნაცვლად იქ სტუდენტობას გაეხსნა კრება, რომელიც შეადგენდა გაგრძელებას წინა კრებისა. ილაპარაკა 5—6 ორატორმა და ყველა ერთსულოვნათ ამტკიცებდა, რომ სამშობლო განსაცდელშია, ქართველი ერი ყოფნა-არ ყოფნის პირზეა მისული, საჭიროა თავის დაღება, საჭიროა მისი ხსნა, გადარჩენა სიკვდილისაგან, განსაკუთრებით გრგვინავდა და ქუხდა ბ-ნი იმედაიშვილი, (რომელიც თავის თავს ს. დ. უწოდებდა, რაც მე დიდ საეჭვოთ მეჩვენა) „ამხანაგებო! გონს მოდით, გონს! გეუბნებით, მოდით გონს! ნუ აყვებით სხვის ფეხის ხმას, ნუ დაღუპავთ სამშობლოს! უარყავით ყოველგვარი ორიენტაცია და იწამეთ მხოლოდ ერთი: „თვით საქართველოს (ქართველი ერის) ორიენტაცია." სხვა გზა არაა ხსნისა. გაიგეთ! შეისმინეთ! არაა სხვა ხსნა!" ხან მუდარით, რაღაც საიდუმლოებით მოცული კილოთი მიმართავდა ის მსმენელებს და ხან მრისხანე, მქუხარე ბრძანებით.

მაგრამ რას ნიშნავს ეს „თვით საქართველოს ორიენტაცია", ან რა რეალური საშვალებით შეიძლება სამშობლოს დაცვა, ამაზე არც სხვებს და არც ბ-ნ იმედაიშვილს კრინტიც არ დაუძრავს. მსმენელთაგან კი ხანგრძლივი აღფრთოვანებული ტაში დაიმსახურა. მიღებულ იქმნა წინადადება კამათის შეწყვეტისა და მთელი სტუდენტობის სახელით გამოიტანეს დაახლოვებით შემდეგი შინაარსის რეზოლიუცია: „საქართველო გამოიყოს ცალკე ერთეულად, შექმნილ იქმნას ეროვნული მთავრობა და მიენიჭოს მას სუვერენობა, რომ შეკრას ოსმალეთთან სეპარატიული ზავი".

ადვილი მოსალოდნელია, რომ ჩვენი ასეთი გადაწყვეტილება ოსმალეთისთვის სასურველი და ხელსაყრელიც იყოს. რადგანაც მთლიანი კავკასია მას, შეიძლება ყელზე დაადგეს, ხოლო ნაწილნაწილად ის ყველას ადვილად გადასანსლავს და არც ჩვენი ჩაყლაპვის ჯერი წავა შორს. მაინც ვიკითხოთ, თუ რას მისცემს ოსმალეთი დღეს ხალხს? ცხადია, რაც თვით ოსმალეთს არ აქვს, იმის გაცემასაც ვერ შესძლებს. რა აქვს მას? რას აძლევს ის თავის ხალხს? ხალხს აძლევს დამონებას და დაბეჩავებას, ხოლო ხოჯა-მოლებს და ბეგებს სრულ ბატონობას. ამასვე შესთავაზებს ის ქართველ ერსაც. მერე ეს იქნება საქართველოს ხსნა? დიახ, **ეს იქნება ხსნა,** არა ერისა, არამედ მხოლოდ **საქართველოს ერთი ნაწილისა, ერთი კლასისა,** იმ კლასისა, რომელსაც რუსეთის იმპერიალისტური წესწყობილება ანიჭებდა მრავალგვარ პრივილეგიებს და სახსრებს მშრომელ ხალხის დასაბეჩავებლად. რუსეთის რევოლიუციამ წაართვა ამ კლასს პრივილეგიები, გამოაცალა ხელიდან სახსრები ხალხის დაჩაგვრისა და ყველა ამ დაკარგულის დაბრუნება მათთვის შეუძლია, მხოლოდ და მხოლოდ ოსმალეთს. ამიტომ არც უნდა გვიკვირდეს, როცა ეს კლასი სარგებლობს დამდგარი გასაჭირი წუთით და ყოველგვარი საშვალებით მიილტვის ოსმალეთის ორიენტაციისაკენ.

სამწუხარო სინამდვილეა, რომ ქართული უნივერსიტეტის, თუ მეტი არა, ცხრა მეათედი ნაწილი მაინც იღებს ხელში ამ ორიენტაციის ინიციატორობას და კრებაზე მთელი სტუდენტობის სახელით გამოაქვს მათი მისწრაფების შესაფერი რეზოლიუცია. მე, როგორც ერთერთი სტუდენტი, ვაცხადებ პროტესტს, ამ რეზოლიუციის წინააღმდეგ და გთხოვთ ეს პროტესტი მომითავსოთ თქვენ გაზეთში.

თ. თოთიბაძე-გრიაზნოვი.

## ქიათურის ამბები

ქუდზე კაცის გაყვანა ჭიათურის რაიონში მიზანს აღწევს.

მუშათა საბჭოს ძლიერ დახმარებას უწევს თვით მცხოვრებთაგან არჩეული კომისია, რომლის მოვალეობას შეადგენს სამართლიანათ განაწილება და გაყვანა თავისუფალ მეომრების.

ამ უკანასკნელ გამოძახილზე ასეთი რაზმებით ეშელონი 28 მარტს გავიდა აქედან. ერთი ეშელონიც 31 მარტს, ხოლო 1 აპრილს ორი ეშელონი. მეომართა რიცხვი თანდათან მატულობს და ამიტომ 2—3 აპრილს მოსალოდნელი იყო რამდენიმე ეშელონის გასვლა.

ვერ ვიტყვით, მუშათათა საბჭოსა და კომისიის მუშაობას დაბრკოლება თან არ სდევდეს, პირიქით, დაბრკოლებანი ყოველ ნაბიჯზე გვხვდება, მაგრამ ხალხი თანდათან ერკვევა.

მუშა ხალხი იმედიანათ შეჰყურებს მომავალს და კავკასიის რევოლიუციონურ მთავრობას, რომელმაც კი შესძლო დემოკრატიის ირგვლივ შემოკრება და ასეთი გაბედული ნაბიჯების გადადგმა, მხარს უჭერს და ამ ნიადაგზე თვით მოქმედებასაც იჩენს. შორაპნის მაზრამ საუცხოვოთ ჩაატარა პირველი მობილიზაცია და ვფიქრობთ, მეორე მობილიზაცია უკეთეს პირობებში მოხდება. მხოლოდ ერთადერთი სამწუხარო ისაა ყველასათვის, რომ უსურსათობამ უმაღლეს წერტილამდე მიაღწია და მიწებიც დაუმუშავებელი რჩება.

ორივეზე მეტია ჭიათურას პური არ აქვს. ვერ მოეწყო სიმინდის შემოტანის საქმეც. ადგილობრივი სიმინდი, რაიც იშვიათად შემოდის, მცხოვრებელთა მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს და არც თუ ისე ადვილია ყიდვა ეკონომიურათ დღეს დაქვეითებულ ჭიათურის მცხოვრებელთათვის. სასურველია ჭიათურის მდგომარეობას ყურადღება მიექცეს თავის დროზე; ჯერ ისეც ჭირდა გამოკვება და ახლა ერთ ჭირს, მეორეც თან დაემატა. აქ აუარებელმა გამოქცეულებმა მოიყარეს თავი, რომელთა გამოკვება ძალიან საძნელოა ასეთ შიმშილობის დროს.

მეტათ სამწუხარო ამბავი მოხდა ს. მღვიმევში; სამხედრო სამხურიდან დაბრუნებული ჯარისკაცისათვის ამბავი დაუხვედრებიათ, რომ დედა მისი ვითომ კუდიანია, რისთვისაც შვილს მიუმართავს ველური ზომისათვის, ე. ი. დაუდაღავს დედა. უბედურმა დედამ ვერ აიტანა ეს ტანჯვა და მაშინვე გარდაიცვალა. ხალხის მოთხოვნაა დამნაშავის დასჯა.

ალი—ხანი.

## გერმანია და რუსეთი

(დასასრული).

მაგრამ როგორ უნდა განისაზღვროს მაინც გერმანიის მოძრაობის საზღვრები?

სხვისი ტერიტორიის დაპყრობის დროს გერმანიის იმპერიალიზმი შემდეგ მიზნებს ანხორციელებს: ბაზრის შოვნა გერმანულ საქონლისთვის; მიწოდება გერმანიისათვის ადგილობრივი ნედლი მასალის (პური და სხ.); ლითონის წარმოების ხელში ჩაგდება; ოპეკა ბანკებზე; პრივილეგიური მდგომარეობის განმტკიცება გერმანელებისათვის საერთოდ და გერმანელ მუშებისათვის კერძოთ.

ეს მიზეზები, რომელიც შეკავშირებული არიან ამა თუ იმ ქვეყნის სამეურნეო წყობილებასთან, ერთგვარათ ახდენენ გავლენას, როგორც მის ეკონომიკაზე, ისე მის პოლიტიკურ წყობილებებზე.

გულუბრყვილობა იქნებოდა იმის ფიქრი, რომ გერმანელი შუცმანი პირველათ ყოვლისა ცდილობს თავის ბატონობის გარეგნულ მხარის მოწყობას: გერმანულ დროშის გამოფენას კრემლის სასახლეზე, გერმანულ შტანდარტის მოწყობას რუსულ ყაზარმებში, ქუჩების „შტრასეთ" გარდაქმნევას და მ. და ჯ. კ. საბჭოს მაგივრათ იმპერსკო—კოროლევსკი ლანდრატის მოწყობას.

მან იცის ყველაფერი ეს თავისთავად მოვა, როცა ამისთვის შესაფერი სამეურნეო—პოლიტიკური პირობები შეიქმნება.

სწორეთ ასეთი პირობების შექმნას ცდილობს ის და ამით ის სრულებით განსხვავდება რუსეთის დიპლომატისაგან, რომელსაც რუსეთის საგარეო პოლიტიკის ორი საუკუნის განმავლობაში არავითარი პროგრამის მოფიქრება არ შეუძლია, გარდა რუსული „შჩიტისა" ცარეგრადის კარებზე.

მისი პრაქტიკული ხელი პირველათ ყოვლისა ჩერდება რუსეთის ყველაზე უფრო ხელსაყრელ გუბერნიებზე (უკრაინა, დონისა და ყუბანის ოლქი და ნაწილი სამხრეთ-აღმოსავლეთის).

აქედან ის გაიტანს პურს, შაქარს და სხვაგვარ სურსათს. წარმოებას ამ რაიონში მისთვის ძლიერ დიდი მნიშვნელობა აქვს, ამიტომ ყოველგვარ ზომებს მიიღებს, რომ ის გაუმჯობესდეს.

მაგრამ რადგან წვრილი-გლეხური მეურნეობა კაპიტალის უქონლობისა და ტეხნიკური მოუწყობლობის გამო საჭირო სიმაღლეზე ვერ დადგება, ამიტომ ავსტრო-გერმანელთა პირველი მიზანი იქნება ყოველგვარი სოციალიზაციისა და გათანასწორების წინააღმდეგ ბრძოლა.

ზომები იქნება, ალბათ, მიღებული მსხვილ მემამულეთა მიწათმოქმედების აღსადგენათ; ეს თუ გაძნელდა, მაშინ სხვა გზა იქნება ამორჩეული და უკრაინის მიწის კანონი ისეთი შესწორებითა და დამატებით გამდიდრდება, რომელნიც ხელს შეუწყობენ მსხვილ გლეხ-მესაკუთრეთა კლასის შექმნას.

წვრილი ბურჟუაზიული წყობილების დამყარება დაპყრობილ ადგილებში— ასეთია ავსტრო-გერმანიის ოკუპაციის პირველი შედეგი.

უკრაინა-გერმანიის ხელშეკრულობა, რომელიც გერმანიას დიდძალი პურის შეტანის საშუალებას აძლევს, დიდ ცვლილებას მოახდენს მიწის პოლიტიკაში. და თუ ახალ „აგრარულ ორიენტაციას" უკრაინის რადა არ განახორციელებს, მას ავსტრიის მოადგილე განახორციელებს ვიურტემბერგის ან პრუსიის ხიშტების დახმარებით.

ძნელი არაა იმის გათვალისწინება, თუ როგორ გავლენას მოახდენს ეს გარემოება ჩრდილოეთ რუსეთზე. ის თავის პურით ვერ ირჩენს თავს, ამიტომ მან ან ინტენსიურ კულტურას უნდა მოკიდოს ხელი,—რაც რუსის სოფლის დღევანდელ პირობებში ძნელია,—ან ის სურსათის საკითხში თავის სამხრეთის მეზობელს უნდა დაემონოს.

წინეთ სულ წინააღმდეგ იყო: სამრეწველო ჩრდილოეთი ეკონომიურათ ბატონობდა სამეურნეო სამხრეთზე, რადგან აქ მოდიოდა ტყავეულობა, მაშინები და ქალაქის ინდუსტრიის სხვა ნაწარმოები. ახლა ასეთი ხელსაყრელი სიტუაცია ჩრდილოეთისთვის სრულიად შეიცვლება არა მის სასარგებლოთ. ადრე თუ გვიან, მან კიდეც რომ შესძლოს ცენტრალური რაიონის ნახევრათ დაქცეული მრეწველობის აღდგენა, სამხრეთ-აღმოსავლეთის ბაზარზე ის ძლიერსა და დაუძლეველ კონკურენტს შეხვდება გერმანიის ინდუსტრიის სახით. წინანდელ ბატონობის შესახებ ახლა ლაპარაკიც არ შეიძლება. ამას გარდა ჩრდილოეთის ლითონისა და სხ. მრეწველობის, თვით არსებობაც როგორც აქვე დავინახავთ, გერმანიის ბატონობის დროს ძლიერ ძნელი იქნება. რადგან რუსეთის ნედლი მასალა ავსტრია-გერმანიის ფაბრიკა-ქარხნებს სჭირდება, ცენტრალური იმპერიები ყოველ ღონეს იხმარენ, რომ ის მათ ჩაუვარდეს ხელში და არა სხვას. რკინის გზის შეღავათიანი ტარიფი გერმანიას შეძლებას მისცემს ახალი გზით გაიტანოს დონეცის ნახშირი და თურქესტანის ბამბა. და რადგან რუსეთის საქსოვი და ლითონის მრეწველობა ამით იკვებებოდა, ამ საქონლის შემცირება მას ან რამდენიმეთ, ან სავს[illegible] ანადგურებს.

ჩრდილოეთის შეზღუდვა და მისი ეკონომიური განვითარების შეჩერება,—აი გერმანული ვაჭრობის პოლიტიკის შედეგი.

აღნიშნულ მოსაზრებათა გარდა ამას მნიშვნელობა აქვს გერმანიისათვის კიდევ იმიტომ, რომ საბოლოოთ სპობს ომის საფრთხეს უკანიდან და იმდენ თავისუფალ მუშა ხელს დააგროვებს, რომ ისინი იძულებული შეიქნებიან ყოველგვარ ფასში გაყიდონ თავისი შრომა.

გალატაკებული, ნახევრათ მშიერი სახელმწიფო ვერავის დაემუქრება. მას ისტორიაში მხოლოდ ერთი როლის ასრულება შეუძლია: ის იქნება მონების სამშობლო და ევროპის კაპიტალიზმის მასაზრდოებელი ქვეყანა.

მოსკოვიას ისეთი მნიშვნელობა ექნება ევროპის თვალში, როგორც ჩინეთს.

გერმანიის შემდეგი მიზანია ლითონის მრეწველობის ხელში ჩაგდება.

რუსეთის ცენტრალურ რაიონში გერმანია დაამხობს ლითონის მრეწველობას და წინააღმდეგ, ხელს შეუწყობს მის განვითარებას იმ ოლქებში, რომელნიც კაპიტალისტურ წარმოებას მოგებას მისცემენ (კავკასია, ურალი).

სეპარატიული ხელშეკრულება ამ დამოუკიდებელ სახელმწიფოებთან მას შეძლებას მისცემს გაიმეოროს მცირე აზიის მშვიდობიანი დაპყრობის ისტორია: იგივე კონცესიები, იგივე კონტროლი ერთი წარმოების და ყიდვა მეორესი, იგივე ჭეშმარიტ—გერმანულ იმპერიალისტების პრინციპების გაბატონებაა და სხვა.

გადააქცევს რა მოსკოვიას ჩინეთად, გერმანიის კაპიტალი შეეცდება კავკასია და სამხრეთ აღმოსავლეთის რაიონი, აგრეთვე ციმბირის ნაწილი (თუ ის იქ იაპონიას არ დაეტაკა) გერმანიის კუთხეებათ გადააქციოს.

ეკონომიური დაპყრობის ეს პლანი დაგვირგვინდება და განმტკიცდება ბანკების წარმოების კონტროლით.

კონტრიბუციის გადახდა საპატიო მიზეზათ გამოდგება მისთვის, რომ ხალხის მეურნეობის ეს ორივე მასაზრდოებელი რეზერვუარი დამორჩილებულ იქნას და მათი შემწეობით განხორციელდეს გერმანიის კაპიტალისთვის სასურველი მიმართულება, როგორც ჩვენი რკინის გზის კეთების, ისე ჩვენი მიწის კანონების და საერთოდ მთელი ჩვენი ეკონომიური წყობილების.

ამ გვარათ, თუ გერმანიის იარაღი საბოლოოთ გაიმარჯვებს, განხორციელდება ის მიზნები, რომლებსაც ისწრაფოდენ რორბახი, ბიულოვი და მათი თანამგრძნობნი. ახალი რომის, მსოფლიოს ახალი მბრძანებლის შექმნა ინგლისს-საფრანგეთის კულტურის ნანგრევებზე.

ცენტრალურ იმპერიათა კავშირი გერმანიის ქვეშ, ეს იქნება ძალა, რომელიც მთელ მსოფლიოს უკარნახებს თავის სურვილს.

წინეთ ამ იმპერიებს შეჰქონდათ ინგლისის ფოლადი და ამერიკის პური. ახლა ინგლისთან და ამერიკასთან დამოკიდებულება საბოლოოთ შეწყდება.

რუსეთის სამხრეთი მათ მისცემს პურს, აღმოსავლეთი და კავკასია—რკინას და ფოლადს. ნედლი მასალითა და იაფ-ფასიანი მუშა ხელით ავსებული ავსტრო-გერმანიის მრეწველობა მსოფლიო ბაზარზე გამოიტანს იმას, რაც მის წარმოებას მორჩება, მაზე ნავარაუდევ ფასს დაადებს და ევროპის, აზიისა და აფრიკის ყველა კუთხეებიდან აურაცხელ მოგებას მოიხვეჭს.

სხვა საკითხია, თუ როგორი მტკიცე იქნება ახალი რომი: შეიძლება მან ვერ აიტანოს თავისივე სიმძიმე და თავისთავათ დაიშალოს, შეიძლება დაიღუპოს ოკეანეს იქითა რესპუბლიკასთან, ან გაღვიძებულ აღმოსავლეთთან ბრძოლაში!

როგორიც არ უნდა იყოს მისი უკანასკნელი ბედი, ერთის თქმა შეიძლება: ჩვენი დროისთვის საკმაოა თუ ის გაიმარჯვებს ახლა, 1918 წელს,—ის დიდის ხნით გაიმარჯვებს და ვერავინ ვერაფერი მოგვხსნის ჩვენივე ხელით ჩვენს კისერზე გადაცმულ ჯაჭვს.

რუსეთის ახლანდელი ბატონ-პატრონნი ცდილობენ თვალი აიხვიონ ამ სამწუხარო პერსპექტივის წინაშე. ისინი მით ინუგეშებენ თავს, რომ მალე გერმანიაში სოციალური რევოლიუცია უნდა დაიწყოს, რომელიც ევროპის იმპერიალიზმს ჯვარს დაუსვამს და დაბნეულ ნაციებს თავისუფლებას დაუბრუნებს.

რადგან ეს ასეა,—გულუბრყვილოთ აცხადებენ ისინი—[illegible] ერთი არ არის, ვის [illegible] არ უნდა ვიქნეთ ერთი თუ ორი წელიწადი? ამ ხნის შემდეგ ყოველგვარი შევიწროვება მოისპობა და ჩვენ ისევ სხვას გაუთანასწორდებით.

მაგრამ რას გვეუბნება მსოფლიოს ისტორია? არსებობდა ძველი რომი, დასავლეთისა და აღმოსავლეთის მბრძანებელი; ეს რომი, [illegible] წინააღმდეგობის, [illegible] მოქალაქეთ აძლევდა უპირატესობას, რომელიც მტაცეთ აკავშირებდა მათ დესპოტიურ იმპერიას და აცილებდა მათ ჩამორჩენილ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამონებულ ხალხს. ეს უპირატესობა იმაში გამოიხატებოდა, რომ რომაელს, როგორი ღარიბიც არ უნდა ყოფილიყო ის, შეეძლო იმპერიის შორეულ პროვინციაში ან ჩინოვნიკათ, ან ადმინისტრატორათ დადგომა თითეული რომაელი წინააღმდეგ სხვა მომაკვდავთა, დაბადებიდანვე მბრძანებელი იყო; და ამიტომ ურიგდებოდა ის ცეზარების რეჟიმს, თუმცა ის ხშირათ ითმენდა მათგან უსიამოვნებას.

ბოლშევიკების ბელადებმა უნდა აცნობონ თავის სამწყსოს, რომ ახალი გერმანულ-კაპიტალისტური რომიც ასეთივე თვისებებით იქნება დაჯილდოვებული, თუ ის მთელ მსოფლიოზე გაბატონდა.

გამოაცხადებს რა გაბატონებული რასის უფლებას, ის გერმანელ მუშას ისეთივე პრივილეგიას მიანიჭებს მსოფლიო წარმოებაში, როგორ უპირატესობასაც ძლევდენ ცეზარები რომის მოქალაქეთ სამხედრო და სამოქალაქო ადმინისტრაციაში.

ამის პრაკტიკული შედეგები იმ გვარივე იქნება: გერმანიის პროლეტარიატი ამორჩეული ხალხის განუყრელი ნაწილი შეიქნება და დაიკავებს რა პირველ ადგილს ფაბრიკა-ქარხნებსა და კანტორებში, რასაკვირველია, სოციალური გადატრიალების საიდუმლო მიზნებისთვის არ დასთმობს დღევანდელ ხელსაყრელ მდგომარეობას. და სანამ კაცობრიობის ისტორია ეკონომიური ინტერესების გავლენის ქვეშ ვითარდება, ტყუილია ამის მოლოდინი, რომ პროლეტარიატი, რომელიც ყველაზე უკეთესათ იკვებება, იმოსება, რომელიც ყველაზე უფრო უზრუნველყოფილია, პირველათ აღსდგეს თავის ბურჟუაზიის წინააღმდეგ და მისი მტრების პირველ რიგში ჩადგეს.

მარტო გაუსწორებელ ფანტაზიორს უნდა ქონდეს ამის იმედი და ნამდვილ შარლატანს შეუძლია ამით სპეკულიაცია გასწიოს.

იმპერიალიზმმა უკვე მიაღწია თავის მიზნებს, მან უკვე შეუკრა ხელ-ფეხი რუსეთის დღევანდელ ბატონ პატრონთ, მაგრამ მათ მაინც კვებავენ ზღაპრებით გერმანიის რევოლიუციის შესახებ.

ბოლშევიკური მთავრობა გაკივის თავის გამარჯვებაზე შინაურ ფრონტზე მაშინ, როცა გერმანიის ოკუპაცია ერთი მეორეზე სპობს ობიექტიურ პირობებს არა მარტო სოციალიზმისას, არა მარტო რევოლიუციისას, არამედ რუსეთის ნაციონალური არსებობისას.

წითელ-გვარდიელების და გერმანელ აფიცრების ხელით, რომელთაც როსტოვსა და ვლადიკავკავში აგზავნიან, ბოლშევიკური მთავრობა ქსოვს დასამშვიდებელ პერანგს რევოლიუციისათვის, ამზადებს სარეცელს დასაღუპავათ გამზადებულ ჩრდილოეთისათვის და სწნავს მათრახს მონობისთვის გამზადებულ სამხრეთისათვის.

და მესამეჯერ გვეკითხება გაწვალებული აზროვნება:

რა არის ეს—სისულელე და ღალატი?

(„გ.“). სტ. ვოლსკი.

## ცხინვალის ამბების გამო

ამხანაგი კოსტა ყაზიევი ადგენდა წითელ რაზმს ცხინვალში და უნდოდა შეედგინა აგრეთვე სოფლებშიაც.

ეს არ მოეწონათ ყოფილ ჯარისკაცებს და ის თავის მტრათ გამოაცხადეს. ასე დაიწყო ბრძოლა კოსტას და ჯარისკაცებს შორის.

კოსტა იყო პირდაპირი კაცი, მას არ უყვარდა ორპირობა, დათმობა, ან ჰო ან არა იყო მისი დევიზი. ყაზიევმა ალყა შემოარტყა ს. ყორნისს და ძალით მოინდომა იარაღის ბყრა, რამაც კინაღამ შეიარაღებული შეტაკებაც კი არ გამოიწვია, ასევე მოიქცა ს. ერედვში, სადაც შეტაკების დროს დაიჭრა ერთი გვარდიელი და ერთი ყოფილი ჯარისკაცი. ამხ. კოსტას ასეთი მოქმედება, რა თქმა უნდა, სააგიტაციო მასალათ გამოიყენეს ჯარისკაცებმა. „დიქტატორი“ ყაზიევი გახდა სალაპარაკო მთელ გორის მაზრაში, მას ახასიათებდენ, როგორც თავადებისაგან მოსყიდულს მოღალატეს, როგორც გლეხების შეურიგებელ მტერს.

15 მარტს ს. ვანათში მოხდა მრავალრიცხოვანი მიტინგი ყოფილ ჯარისკაცებისა, რომლის თავმჯდომარეთ იყო არჩეული ილო ბერუაშვილი, ერედვის შეტაკების გამომწვევი. მოგვყავს სიტყვასიტყვით მიტინგზე გამოტანილი ოქმი, რომელიც ახასიათებს, რამდენათ შეუგნებლათ მოქმედობდენ ჯარისკაცები სხვისი შთაგონებით: „ოქმი. გლეხთა ბრბომ ცხინვალის და ჯავის რაიონებში ჩვენდა საუბედუროთ პროვოკაციონური პოლიტიკის ხელმძღვანელობით წითელ გვარდიელებს ცხინვალის დიქტატორით, რომლებიც ცდილობენ განიზორენ ანუ განჭყონ თვის გარშემო ბნელ ძლიერ მტრებს რევოლიუციის. მაგალითი ცდომაში თავისუფლებისა არის გამორიცხვა არჩევნებისა კომისრებისა თამარშენის საზოგადოებისა დანიშნავენ მთავრობის მიერ აღმორჩეულ კომისარსა და უეცრათ ავაზაკურ დაცემით მშვიდობიან ხალხსა ერედვისა, ჩვენ გლეხნი ცხინვალისა და ჯავის რაიონებისა მივეცით ფიცი, რო ერთხელვე აღარ დავუბრუნდეთ მონობას და მოვკვდეთ გმირულათ ყველანი, როგორც ერთი კაცი ჩვენი უფლებისთვის და სიმართლისთვის უძლურთა და დაჩაგრულთა ჩვენის ხალხისთვის ძლიერებ-სათვის. იცოცხლე და მიეც სიცოცხლე სხვისათვისაც. ამისთვის ქვემოაღნიშნულ ულტიმატიური მოთხოვნილობა: განშორეთ ყოველი პომეშჩიკები გორის მაზრიდან, როგორც დამბეჩავრლნი გლეხთა, 2) განაშორეთ სამუდამოთ გორის მაზრიდან შემდეგი პირნი: დიქტატორი კაზიშვილი, სოსიკო პოვრიშვილი, შაქრო ცერაძე და ილია მაისურაძე მარტის 17—12 საათამდისინ დღისით. 3) განაყეთ თანასწორ წილათ მიწა გლეხთა შუა და შეზღუდვისათვის თავისუფლებისა და სიტყვიერება, კავშირის, ყრილობა, ტარება თავისუფლათ იარაღისა და ხელშეუხლება შენობებისა. უკეთუ არ მივიღეთ კმაყოფილი პასუხი ამა მარტის 16—3 საათამდისინ დილისა, ჩვენ ვიხსნით ჩვენი გზით ყველა პასუხისგებულებასა. რაზედაც ხელს ვაწერთ ხალხის მიერ მინდობილი“.

ეს ოქმი წარუდგინეს ცხინვალის ორგანიზაციას, რომელმაც შეატყობინა გორს. ამის შემდეგ რაც მოხდა, მკითხველმა უკვე იცის.

## მუშათა შორის

**ბეჭდვითი საქმის მუშათა გაფიცვა და ახალი ტარიფი.** როგორც ამხანაგებს ეხსომებათ, ამ სამი თვის წინეთ ჩვენ მიერ წარდგენილი ტარიფი ზოგიერთმა ჟიუტმა და ათასობით მოგებას მიჩვეულმა „ხაზეინებმა“—ეს ჩვენი სამართლიანი მოთხოვნილება არ დააკმაყოფილა და მით ბეჭდვითი საქმის მუშათა ნაწილობრივი გაფიცვა გამოიწვია.

ბეჭდვითი საქმის მუშათა უმრავლესობამ გაუწია რა ანგარიში იმ კრიტიკულ მდგომარეობას, რომელშიაც ჩვენ და მთელი რუსეთი იმყოფება,—საზოგადო გაფიცვას გვერდი აუხვია და ნაწილობრივი გაფიცვა გამოაცხადა, ე. ი. რომელმა „ხაზეინმაც“ არ დააკმაყოფილა ტარიფი, მხოლოდ იქ გაიფიცენ მუშები. სამ თვეზე მეტია, რაც გაფიცვა გრძელდება. მართალია, ამ ხნის განმავლობაში ზოგიერთმა „ხაზეინმა“ ვერ გაუძლო მუშათა ერთსულოვან გაფიცვას და მის წინაშე ქედი მოიხარა, მაგრამ „ხაზეინების“ უმრავლესობა ჯერ კიდევ არ ფიქრობს იარაღის დაყრას.

წავიდა ის დრო, როდესაც მუშას ბრძოლის ყველა გზები შეკრული ჰქონდათ და ძველათ, თუ კი გაფიცვის ნებას დართავდენ, ის ყოველთვის მუშათა დამარცხებით თავდებოდა.

რუსეთის რევოლიუციის შემდეგ მუშათა კლასი კიდევ უფრო დაირაზმა, პროფესიონალურ კავშირის ირგვლივ ათასობით მუშა შეკავშირებული. მათ შორის დარაზმულია ბეჭდვითი საქმის მუშებიც და მას ბრძოლა კიდევ დიდხანს შეუძლია. გაუმაძღარ „ხაზეინების“ წინაშე ის ქედს არ მოიხრის. მუშების სულიერი განწყობილება სამაგალითოა.

მერე, რას ფიქრობენ „ხაზეინები?“ სხედან და ძველათ მოგებულ ფულით, მუშათა ოფლით შეძენილ ქონებით, ფუფუნებას მისცემიან. ხოლო თავიანთ ქარხნებისთვის რაზა გადაუდვიათ.

და ამ ისედაც დაცემულ წარმოებას, ომის მდგომარეობით გამოწვეულს, ასეთი საქციელი შეეფერება? ჩვენმა მუშებმა საზოგადო გაფიცვა მხოლოდ ამ მოსაზრებით არ გამოაცხადეს. ხაზეინები კი უკუღმა იქცევიან, მათ უნდათ შექმნილ მდგომარეობით ისარგებლონ და ისედაც გასქელებული ჯიბე, კიდევ უფრო გაიტენონ.

ამიტომაც იყო ამხ. შრომის კომისარმა ამ მოვლენას ჯეროვანი ყურადღება მიაქცია და უკვე რამდენიმე ქარხნის, სახელდობრ: მესხიევის, მარტიროსიანცის და „პერეპლიოტის“ რევიზიაც მოახდინა. ასე და ამგვარათ რამდენიმეთ ჩვენ უკვე გავიმარჯვეთ.

რა გზას უნდა დაადგენ დანარჩენი „ხაზეინები“—დეე ამაზე თვით გვიპასუხონ.

ძველს ტარიფს, რომელიც სამი თვით იყო დამტკიცებული, მარტის გასულს მასაც ვადა გაუვიდა. მუშებს არ უნდოდათ ეს დადგენილება დაერღვიათ სამ თვეზე ადრე ახალი ტარიფის შემუშავებით, თუმცა მათ ამის უფლებაც ჰქონდათ და ზოგიერთმა პირველ მოთხოვნილების ფასებმაც ძალზე აიწია ვიმეორებ ჩვენ ამის უფლება ადრევე გვქონდა, მაგრამ ჩვენ თავი შევიკავეთ.

დღეს ეს აღარ შეიძლება. ამ სამი თვის განმავლობაში ცხოვრება ისე საშინლათ გაძვირდა, რომ ამის შემდეგ ძველ ფასებზე დარჩენა ყოვლათ შეუძლებელია. მაგალითისთვის პური ავიღოთ. გინდაც რომ ჩვენ ნიხრის საზღვრებზე ვილაპარაკოთ და თავი დავანებოთ იმ საზღაპრო ფასებს პურზე, რომელსაც რომელიმე ფარაჯაში გახვეული სპეკულიანტი ჰყიდის, ჩვენ აშკარათ დავინახავთ, თუ რა საშინლათ გაძვირდა პური. ახლა შაქარი, ტრამვაი და სხვა.

ვიმეორებ ძველ ჯამაგირებზე დარჩენა დღეს ყოვლათ შეუძლებელია. ან კი, რა გასაკვირველია, რომ მუშათა კლასმა, ამ თავის დღესასწაულის დროს თავისი ეკონომიური მდგომარეობა ცოტაოდნავათ მაინც გაიუმჯობესოს.

მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ჩვენ ანგარიში არაფერს არ უნდა გაუწიოთ. პირიქით, ჩვენს პირდაპირ მოვალეობას შეადგენს: კარგათ გავითვალისწინოთ დღევანდელი მდგომარეობა და იმის და მიხედვით მოვიქცეთ.

ჩვენ ყოველთვის უნდა ვეცადოთ—ჩვენს ყოველივე გამოსვლაში საზოგადოებრივი თანაგრძნობა ჩვენსკენ იყოს.

მე ღრმათა მრწამს ჩვენი მუშები ასეც მოიქცევიან და ახალ ტარიფის დამტკიცების დროს,—რომელთაც მას გამგეობა წარმოუდგენს, კვირას 8 აპრილს საზოგადო კრებაზე, ყოველივე იქ აღნიშნულ ციფრს—ფრთხილათ თუ გაადიდებს.

მიხ. თამაზაშვილი.

## პროვინცია

**აბაშის რაიონი** (სამეგრელო). აღნიშნულ რაიონში და საზოგადოთ სამეგრელოში ომის გამოცხადების დღიდან დეზერტირობას ფართე ნიადაგი ქონდა, მაშინაც კი, როცა ნიკოლოზის მთავრობის ხიშტები ემუქრებოდა მათ; რევოლიუციამ და თავისუფლებამ მთლად ნიღაბი ჩამოხადა ამ გვარ ელემენტებს და ესენი მოგვევლინენ სოფლებში „ბოლშევიზმის“ დროშის ქვეშ.

მას შემდეგ, რაც დეკრეტი გამოიცა ახალგაზდობის (19—25 წ.) გაწვევის შესახებ, ესენი ყოველგვარ პროვოკაციას ეწეოდენ ხალხში მობილიზაციის წინააღმდეგ, ხან არწმუნებდენ მათ ომი გათავდაო და ოსმალო აქეთ არ წამოვაო, ხან იმასაც კი ამბობდენ, რომ „ბათუმი წინეთ ოსმალეთს ეკუთვნოდა და თუ აიღებს სამართლიანობა იქნებაო“.

ამ ვაჟბატონებმა ის კი არ იციან, რომ ბათუმი ოსმალეთის წინეთ საქართველოს ეკუთვნოდა, მას ერთ დროს (1437—1474 წლ.) სამეგრელოს მთავარი მართავდა, ხოლო ოსმალებმა აიღეს 1547 წ.

აღნიშნულ რაიონში ფრონტიდან გამოქცეული ჯარისკაცები დღეს ყველა „ბოლშევიკებია“, ვინაიდან თავდაცვის უნარი დაკარგვიათ „თავისუფლების“ დროს.

მათ ვერაფრით ვერ დაარწმუნებდით, რომ კავკასიის ფრონტზე ბრძოლა სწარმოებდა; მაგრამ როცა ამ უკანასკნელ დღეებში ცხადზე უცხადესი გახდა ყველასათვის, რომ აჭარა ომს აწარმოებს გურულების წინააღმდეგ, ესენი თითქოს თანახმა გახდენ ომში წასვლის, მხოლოდ მოითხოვდენ, რომ გაყვანილ იქმნან ყველა 20 წ.—40 წლამდის, წინააღმდეგ შემთხვევაში უარს აცხადებდენ გასვლაზე. ამგვარ ყოყმანობაში გაატარეს მობოლშევიკო ჯარისკაცებმა მთელი მარტი უკანასკნელ რიცხვებამდე.

30 მარტს ს. აბაშაში გაისმა ხმა, რომ ს. ბანძასთან ბოლშევიკების ჯარი სდგას რიცხვით 3—4 ათასამდე და დელეგატი გამოგზავნეს ჩვენთანო.

31 მარტს შესდგა კრება ს. აბაშის ორ-კლასიან სასწავლებლის დარბაზში, თავმჯდომარე და მდივნის არჩევის შემდეგ მოხსენებას აკეთებს „ბოლშევიკების“ დელეგატი ოჩიგავა, რომელიც ნათლავს ამიერ-კავკასიის სეიმს და კომისარიატს მოღალატის, გამცემის და ბურჟუების დამცველის სახელით; შემდეგ მომხსენებელი ეხება თანამედროვე მომენტს და მიუთითებს ხალხს, რომ ხსნა იმ განსაცდელისაგან, რომელიც ეხლა ემუქრება სამშობლოს და რევოლიუციას, შეუძლია მხოლოდ და მხოლოდ „ბოლშევიკური, სოციალისტურ, მუშურ“ ჯარს, რომელსაც ისინი ადგენენ ს. ბანძასთან. ბრბო ცრუ მომხსენებელს ტაშის ცემით აჯილდოვებს, შემდეგ უფრო წათამამებული, მომხსენებელი მოუწოდებს ჯარისკაცთ ჩაეწერონ ს. ბანძასთან არსებულ „ბოლშევიკურ“ პოლკში და მასთან უხსნის მიზანს—თუ რა უნდა გააკეთოს ამ დღებში მათმა პოლკმა:

„ვინაიდან ჩვენი მუშური, სოციალისტური ჯარი უნდობლობას უცხადებს არსებულ მენშევიკურ მთავრობას, უნდა გადავაყენოთ იგი რევოლიუციონური ძალით და რადგან ის მოითხოვს ძალას, ძალა ჩვენ გვაქვს და კიდევ მოგვემატება ქალაქების აღების დროს. როცა ძალა-უფლებას ხელთ ჩავიგდებთ უნდა ავლაგმოთ ამხანაგებო, ჩვენი შინაური მოსისხლე მტრები: ბურჟუა-კაპიტალისტი, თავად აზნაურობა და სხვ.

ამხანაგებო! ჩვენ რუსეთიდან გაგვთიშეს მენშევიკებმა, რომ თვითონ იბატონონ, შევუერთდეთ რუსეთს, იმ რუსეთს, სადაც ძალა-უფლება „მუშის“ ხელშია; ისინი გვერდში ამოგვიდგებიან ჩვენ, მოგვაწოდებენ ყოველგვარ საჭიროებას: სურსათს (განსაკუთრებით თეთრ პურს), იარაღს, ჯარს და ფლოტს, მათთან ერთად გავეშუროთ ბათუმისაკენ (მანამდი გურულები დაიცავენ), გაუგზავნოთ „სოციალისტური“ დელეგაცია ოსმალებს (ტრაპიზონის დელეგაცია უკანონოთ მიაჩნია, ვინაიდან ბეგებიდან შესდგებოდაო) და ისინი მაშინათვე ჩამოაგდებენ ჩვენთან საპატიო ზავს“-ო.

მომხსენებლის სიტყვებიდან აშკარაა, რომ მაშინ, როცა დედა-სამშობლოს დაცვა იწირავს საუკეთესო მოზარდ თაობის მსხვერპლს, ამ კონტრ-რევოლიუციონერებს სურთ შიგნიდან კლასობრივი ომის ცეცხლი გააჩაღონ, რაც ჰსპობს, გზას უხნევს და თავ დაცვის უნარს უკარგავს სამშობლოს, რაც ზურგიდან ლახვარს ჩასცემს ბათუმში საომრათ წასულ ამხანაგებს და რაც დიდ დახმარებას გაუწევს ოსმალეთს ადვილათ შემოსდგას თავისი ნაბიჯი საქართველოს მიწა წყალზე.

ამხანაგებო! გაეშურენით ფრონტისაკენ!

ზიზღი კონტრ-რევოლიუციონერებს!

გაუმარჯოს თავდაცვის საქმეზე მყოფ მებრძოლ გმირებს!

ვ. ღანტკურისპირელი.

31 მარტი.

---

**ქვალონი** (სამეგრელო). 28 მარტს ამ სოფელში დიდი ვაგლახის შემდეგ სასურველ ნიადაგზე თავდებოდა მობილიზაციის საქმე, ამ დროს საზოგადო კრებაზე ორმა ადგილობრივმა მასწავლებელმა ალანიამ და დანელიამ მოიტანეს მოწერილობა ხობის რაიონული კომისარისაგან და გამოუცხადეს საზოგადოებას, რომ არავითარი მობილიზაცია არ ხდება, ეს აქაური ჭორიკანების მოგონილიაო, თქვენ ამდენ მოგროვილ ხალხს უბრალოდ გაცდენენ და სხვა.

ამ პროვოკაციამ გასჭრა. ხალხი აირდაირია კინაღამ ერთი მეორე ამოხოცეს. საქმე ასე ყოფილა: ამ დროის რაინდნი იმ დღეს წასულან ხობში, მისულან რაიონის კომისართან გადაუციათ, ვითომ ქვალონის შეკრებილ საზოგადოებაში მობილიზაციის შესახებ შეტაკება და სისხლის ღვრა ხდებოდეს. ამის მსგავსი ქვალონში არაფერი არ ყოფილა და არც ამის შესახებ მათთვის არაფერი არ დაუვალებიათ და მათ ეთხოვათ კომისარისთვის გაგვატანე რამე მოწერილობა, რომ მით დავამშვიდოთ ხალხიო, კომისარს მათი განცხადება სიმართლეთ მიუღია, ეჭვი არ შეპარვია იმათი პროვოკატორობაში და ხალხის დასამშვიდებლათ გამოუტანებია მოწერილობა, რასაც დაადასტურებს თვითონ ხობის კომისარი. ალანია და დანელიას ფიზიანომია ხალხის თვალში ასეთია: პირველი, ვითომ ესერია, მეორე კი „ახალგაზრდა ესფერი“.

ასეთი მოქმედებით აქ მობილიზაცია ჩაიფუშა, რასაც ვაუწყებთ იმ პარტიებს, რომელთაც ეს ვაჟბატონები ეკუთვნიან.

აბუა.

---

**სამტრედია.** ჩვენი სიცოცხლის კარები მტრის ხელშია,—ბათუმი მტერმა აიღო!.. აი სიტყვები, რომელიც ვით ლახვარი მწარედ სცემს გულს, ყოველ შეგნებულ მებრძოლს გეენიის წუთებს განაცდევიებს. ეს ქმუნვის ამბავი ჩვენმა ქვეყანამ 2 აპრილს გაიგო.

2 აპრილს დილით სოფლებიდან ხალხმა რკინის გზის სადგურებისკენ დენა იწყო.

იმ მიტინგმა, რომელიც შესდგა აქ 2 აპრილს, მიიღო ამგვარი წინადადება: ჩაეწერებიან რაზმში მხოლოდ ისინი, რომელთაც შესწევთ სიკვდილის წინაშე წადგომის უშიშროება, რომელთაც უნდა იცოდენ წინდაწინვე, რომ ის, ვინც უკან დახევას შეიმჩნევს, სულ ერთია, მას იგივე ამხანაგები მოსპობენ—და ეწერებიან რაზმში—ეწერებიან ჯარისკაცები, ზოგი ისეთებიც, რომელნიც ფრონტიდან დაბრუნებულან.

## წერილი რედ. მიმართ

3 აპრილს 1918 წელს რამოდენიმე ათეულ ვერს გამოვლილი, მეტათ მოქანცული დიდ ტალახში და წვიმაში, ჩამოველი კახეთის რკინის გზის სადგ. ნავთლუღში. ათი წუთი თუ უკლდებოდა თელავიდან თფილისში მომავალ მატარებელს, მივმართე ამ სადგურის უფროს ვასო ზალდასტანოვს და ვკითხე მატარებელი ხომ არ იგვიანებს-მეთქი. (თუ დაიგვიანებდა, სხვა მატარებელი აქეთ არ დადის და ფეხით უნდა წამოვსულიყავ). მან ამხედ დამხედა, შევატყვე, რომ ჩემი გათხუპნული, დახეული ფეხსაცმელი და დახეულ-დასველებული პალტო არ მოიწონა, ჯერ მეგონა ამ მდგომარეობაში მყოფს თანაგრძნობას გამომიცხადებდა, მაგრამ მოვსტყუვდი, შემომხედა, ერთი შემომიბღვირა და მიპასუხა: „ვინ ხარ, რას დეეთრევი, ან მატარებელს რას კითხულობ, ფეხით ვერ წაეთრევიო?“ მე მისი უზრდელი პასუხი ავღნიშნე და დავუმატე, რომ მე მოვალეობის გამო ვიყავ გარეთ-კახეთში ფეხით, ბევრი ვიარე და თუ მატარებელი დროზე მოვა გავყვები-მეთქი. „მატარებელი არ მოვა, იგვიანებს!“ თანაც გინებით გაბრუნდა: „არამზადაო“ (сволочь) და მსგავსი სიტყვებით. მატარებელი კი იმ წამს გამოვიდა.

ასეთი უფროსი განა შეეფერება თუ არა თავის დანიშნულებას? ან რა ვუწოდოთ მას?

დათიკო ი. ლორთქიფანიძე.

---

12 თებერვალიდან წავიდა სავაჭროდ ქ. თფილისში

### გიორგი გუსარის ძე ჩიქობავა

და ამის შემდეგ უკვალოდ დაიკარგა. ნათესავები უმორჩილესად სთხოვენ ყველას თუ ვინმემ რამე იცის მის შესახებ აცნობონ მის ძმას შემდეგი ადრესით: ქ. ახალ-სენაკი საკუთარი სახლი აქსენტი გუსარის ძე ჩიქობავას. 1—1

---

სახალხო სახლი

სახ. სახ. არს. ქართვ. წარ. მმარ. წრე

კვირას, 8 აპრილს 1918 წ.

ვასო აბაშიძის მონაწილეობით

წარმოდგენილი იქნება:

### ნამუსისათვის,

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: არჯევანიძე, ს. რომანიშვილი-დგებუაძისა, ვ. მარგველაშვილი, ნ. ნინონი; ბბ. ნ. გოცირიძე, ა. თავდგირიძე, ალ. მეტრეველი, ი. მინდიაშვილი, ნ. ჭანკვეტაძე. დასაწყისი საღამოს 7 ნახ. საათზე. ადგილების ფასი 1 მ. 40-დან 35 კ.-დე. ბილეთების კასა ღიაა ყოველ დღე დილის 12—2-მდე და საღამოს 6—8 ს-მდე. შემდეგი წარმოდგენა 17 აპრილს.

რეჟ. ქ. შათირიშვილი, რეჟ. თანაშემწე ალ. ბადრიძე. (2—1)

---

### ექიმი პ. ი. გვარჯალაძე

შინაგან და ბავშვთა სნეულებანი

ავათმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 5—6 ს., კვირა დღის გარდა. ქსენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვეტცელის გვერდით. ტელ. 15—00.

---

ექიმი

### დ. ი. ჯაფარიძე

მიიღებს შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 11—1 საათამდე, საღამოს 5—7 ს. მადათოვის ქუჩა № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ.

---

### ექიმი ნ. ლ. ტურიაშვილი

მედიცინის დოკტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა.

შინაგან საბავშვო, საშვიო და საშვილოსნო სნეულებით ავადმყოფთ იღებს ყოველ-დღე შუადღის 12—2 და საღამოს 4—5 საათამ. უფასოთ იღებს ყოველ-დღე დილით 9—10 საათ. მისამართი: ნიკოლოზის ქუჩა, № 7, სიმხოვიჩის აფთიაქის გვერდით.

---

### დაიკარგა

განმანაწილებელი პუნქტის მიერ მიცემული სამსახურის მოწმობა და რამდენიმე ათეული თუმანი, მნახველს ვსთხოვ მოწმობა მაინც დამიბრუნოს თფილისის განმანაწილებელ პუნქტში ილარიონ თემურაზის ძე ჯაში. 1—1

---

ექიმი ქალი

### რ. გ. შიშლო-საგაშვილი

მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველდღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა ხაზებით დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 5—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, სახლი № 82.

---

### ექიმი გ. მ. მუხაძე

იღებს სადოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა. მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 57 აფიცერთა ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

---

ექიმი

### დ. ი. ქორდანია

იღებს ავათმყოფებს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფობით, სიფილისი მისი და შედეგები სისხლ ნაკლებბა. ქრონიკული მალიარია და ქრონიკული ტრაპერი. საღამოს 5—7 საათამდე გარდა კვირისა. გორის ქ. № 6 (დიდუბე). ტელ. 14—37.

---

ექიმი

### გ. დონხინი

ყოფილ იასხისენტი პარიზის მთავარ კლინიკისა იღებს თვალის ტკივილებით ავადმყოფებს, დილის 10—12 და საღამოს 4—7 საათამდე. მიხეილის პრ., 76, (ხაიკინის კბილის საექიმო).

---

### ექიმი ვ. გ. ვეფხვაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორათ ნამყოფი იღებს ავათმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 ნახ. საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

---

ექიმი

### ნ. ი. მახვილაძე

იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა (ხელოვნური პნევმოტორაქსი) ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით. ავათმყოფთ ყოველ დღე დილის 11—12 საათამდე და საღამოთი 4—6 საათამდე. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11.

---

# თფილისის ქალაქის გამგეობა
# სავალდებულო დადგენილება.

ქალაქის გამგეობამ თანახმად საბჭოს 1918 წ. 19 მარტის გადაწყვეტილებისა დაადგინა:

1) ქალაქ თფილისში შემოღებულ იქნება ოთახების დაფასება ისეთ ბინებზე, სადაც იძლევა არა ნაკლებ სამისა და არა უმეტეს ათი ოთახისა.

2) ოთახის ფასი ისაზღვრება მთელი ბინის საიჯარო ფასის ნაწილით, ამ ფასის გამოანგარიშება შეიძლება იმის და მიხედვით თუ მთელი ბინის რამდენი ნაწილი უჭირავს ოთახს და ზედ ემატება 15 პროცენტი.

3) თუ ავეჯით სარგებლობენ ოთახის დამქირავებელნი, შეიძლება მიემატოს კიდევ 20 პროცენტი.

**შენიშვნა:** საჭირო ავეჯათ ითვლება: კრაოტი, ან ტახტი, სკამები, მცხოვრებლებთა რიცხვის მიხედვით, ერთი სასადილო სტოლი და საწერი მაგიდა, პირის საბანი, ტანისამოსის შკაფი, კამოდი, წიგნების შკაფი ან ეტაჟერკა.

4) როცა მესამე მუხლში აღნიშნულ ავეჯზე მეტით სარგებლობენ ფასის შესახებ ურთიერთ შეთანხმება უნდა მოხდეს, უკეთუ ეს ავეჯი აუცილებლათ საჭირო ავეჯის მაგიერობას არ ასრულებს, ამ უკანასკნელ შემთხვევაში ფასს მეორე მუხლის თანახმათ იხდიან.

5) გათბობა განათებისთვის იხდიან იმდენს, რამდენიც ნამდვილათ ღირს ეს. პროპორციონალურ პრინციპის თანახმად, როგორც ეს არის ამ დადგენილების პირველ მუხლში აღნიშნული.

6) ვანით სარგებლობისათვის თვითოეულზე უნდა გადაიხადონ თვეში არა უმეტეს ორი მანეთისა.

7) სამზარეულოთი სარგებლობისთვის საჭმელის მოსახარშათ უნდა გადაიხადონ არა უმეტეს 10 მანეთისა ხოლო როცა სხვა რამესთვის სარგებლობენ სამზარეულოთი ამისთვის ფასი არ უნდა გადაიხადონ.

**შენიშვნა.** თუ სამზარეულოთი სარგებლობენ საცხოვრებლათ პირველ მუხლის თანახმად იხდიან ფასს.

8) სამოვრით სარგებლობისთვის იხდიან არა უმეტეს 6 მანეთისა თვეში თვითოეულ სამოვარზე.

9) ხელზე მოსამსახურეთა შრომით სარგებლობისთვის იხდიან 1 და 2 მუხლში აღნიშნულ ფასის 20 პროც.

10) ამ დადგენილების ძალაში შესვლის დღიდან დამქირავებელს უფლება არა აქვს წაართვას დამქირავებელს ავეჯი, მოუსპოს სინათლე და გათბობა, აუკრძალოს სამზარეულოთი სარგებლობა და სხვა. უკეთუ უკანასკნელი სარგებლობდა ყველა ამით ამ დადგენილების ძალაში შესვლამდე.

11) ამ დადგენილების ძალაში შესვლის დროს დანიშვნა ევალება თფილისის ქალაქის გამგეობას.

12) ამ დადგენილების დარღვევისთვის 29 სტ. ძალით პასუხისგებაში იქნებიან მიცემული.

13) ამ დადგენილების სისრულეში მოყვანას თვალყური უნდა ადევნონ სახლის კომიტეტებმა.

ეს დადგენილება ძალაში შედის 10 აპრილიდან.

(2—1) თფილისის ქალაქის გამგეობა.

---

# თფილისის სახელოსნო კლუბი

კვირას, 8 აპრილს, დილის 11 საათზე გამგეობისაგან დანიშნულია

# წევრთა საერთო კრება

დღის წესრიგი:

1) ჩაწერილ კანდიდატთა არჩევა.
2) ზოგიერთ წევრებზე შემოტანილ საჩივრების განხილვა.
3) გამგეობის მოხსენება კლუბის დროებით დახურვის შესახებ. 1—1

[illegible] სტამბა [illegible] შესახვევი, № 1.